

რაცაც, ჩემო თვალის ჩინო...

რეპუბლიკა

№ 12 (74) 1.12.2015 - 1.01.2016 ფასი: 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

2016



ბედნიერად აღვადგინებ შენა-ნებას ზღვას

№ 11



**გამსიხერძებების
ოჯახი
სიმფონია**

№ 26



**პაპლე
ნაბაღიშვილი
ფონოლოგიის
განვითარების უხალი
მიმართულება**



**გზა,
როელიც
ბიორგი
ინსპირაციის
სახელს
შეაფორმება**

**ლიბერალის სტრატეგია
აპროლოგიაში**



**ნიმე
რახვიანი**



*მოქალაქე
ქობიძე*



**რა წვლილი მიუძღვის ალანობელ რაჭველებს
ფინეთის სამთავრობო განის ბაპარსავაში**

2016



იანვარი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
			1	2	3	
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

თებერვალი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29						

მარტი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

აპრილი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
			1	2	3	
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

მაისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ივნისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

ივლისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

აგვისტო

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

სექტემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

ოქტომბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ნოემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

დეკემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

სარჩევი

	ბარბაროზა..... 2
	ნიკოლოზობა 3
	რას მოგვიტანს ახალი 2016, ნითელი მაიმუნის წელი? 4
	გამყრელიძეების ოჯახური სიმფონია..... 11

მიხეილ ლაბაძე

	რაჭველი მეპურეების საოცარი თავგადასავალი, პორტ-არტურში - „ქვე აქ არ ვარგოდა და ომში რა უნდა ქნას, ბოშო?!“ 14
---	---

მარინა ბაბუნაშვილი —

	გზა, რომელიც გიორგი ინასარიძის სახელს უკავშირდება 18
	რა წვლილი მიუძღვის ალაგირელ რაჭველებს „ფინეთის სამთავრო ბანკის გაძარცვაში“ 20

გივი სიხარულიძე —

	რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა 24
---	---------------------------------------

გივი სიხარულიძე —

	პროფესია სიკეთე..... 24
--	-------------------------

	პავლე ჩაგელიშვილი — მეცხოველეობის ინტენსიური განვითარების ახალი
	მიმართულება 26
	მეთაფლე ფუტკრის ოჯახი 30
	შოთა ნოზაძე — ამერიკიდან ნაფიქრი..... 34
	ამბროლაური სრულიად საქართველოს ამცნობს 36
	მოდვარის განათებული ლამპარი 38
	ბედნიერი სიცოცხლის დასასრული 38
	კონსტანტინე (კიკა) ჯაშიაშვილის გახსენება 39
	ბრონეული 40
	ელიზბარ ლობჯანიძე — რაჭა 40

მთავარი რედაქტორი —

ნინო ჩხვიიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

გონა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარაშვილი

ტექსტი ააწყო

თამარ გოგინაძე

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ
რაჭველებს და არა მარტო მათ,
გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _
გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,
რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს
მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

მარბარობა

დღეს ბარბარობაა. ბარბარობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სადღესასწაულო წირვა ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში აღევლინება. ასეთ დღეებში განსაკუთრებული სიმრავლე წმიდანის სახელობის ტაძრებში შეიმჩნევა.

წმიდა დიდმონაშენ ბარბარე III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. მამამისი დიდგვაროვანი წარმართი იყო, რომელსაც სახელად დიოსკორე ერქვა. იგი მალე დაქვრივდა. მამამ ერთ ულამაზეს ბაღში შვილისათვის საგანგებოდ ააშენა მალალი კოშკი, სადაც წმიდა ბარბარე უცხო ხალხისაგან მოშორებით იზრდებოდა. ღვთის განგებით, მან გაიცნო ქრისტიანი თანატოლები და მათგან ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ შეიტყო. წმიდა ბარბარემ აღიარა იესო ქრისტე და მამისაგან ფარულად მოინათლა. როდესაც დიოსკორემ შვილის გაქრისტიანება გაიგო, ისე განრისხდა, რომ მამობრივი სიყვარული სულ გადაავიწყდა და შვილი მოსაკლავად გაიმეტა. წმიდა ქალწული თავისი ხელით მიჰგვარა ქალაქის მმართველს, რომელიც არ დასჯერდა წმიდა ბარბარეს ნამებას და ბრძანა, ქალიშვილი შიშველი გამოეყვანათ ქალაქში. მაგრამ ამ დროს სასწაული მოხდა - წმიდა ქალწულის სხეული ზეციურმა ნათელმა შემოსა. ამის დანახვაზე გონებადბნელებულმა მამამ საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი ერთადერთ შვილს. დიოსკორე და ქალაქის მმართველი იმავე დღეს დაისაჯნენ ამ საშინელი საქციელისათვის, - ისინი მეხმა ფერფლად აქცია.



ნამებულის წმიდა სხეული კი ერთმა ღვთისმოსავმა მოქალაქემ, ვალენტიანემ ჩამოასვენა ილიოპოლში, შესაფერისი პატივით და კრძალა და შემდეგ იმ ადგილას ეკლესია ააგო.

დიდმონაშენ ბარბარეს წმიდა ნაწილები შემდეგ ილიოპოლიდან კონსტანტინეპოლში გადაასვენეს, სადაც საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა, ხოლო XI საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენიოსის ქალიშვილმა - ბარბარემ, კიეველ თავად მიხეილ სვიატოპოლკთან ქორწინების შემდეგ, ისინი კიევის რუსეთში გადაასვენა.

ამჟამად წმიდა ნაწილები იმყოფება ქ. კიევში, წმიდა ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარში, ეკვდერის შუაში, შემალღებულ ადგილას. მის წმიდა ნაწილებთან მრავალი სასწაულია დაკავშირებული.

წმიდა ბარბარეს განსაკუთრებით ევედრებიან ყრმათა კურნებისათვის, შვილიერებისათვის და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისაგან დაცვისათვის.


უნმიდესის ქადაგებიდან ბარბარობის დღესასწაულზე:

„რით დაიმსახურა წმიდა ბარბარემ ასეთი დიდი მადლი ღვთისა? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, მისი ცხოვრება უნდა გავისხენოთ. წარმოვიდგინოთ ორი პიროვნება - წმიდა ბარბარე და მისი მამა - დიოსკორე. თქვენ იცით, რომ ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის - უძველესი პრობლემაა ორი ადამიანი იდგა სრულყოფის კიბეზე: ბარბარე და მამამისი. თითქოს, მამა ცდილობს, თავის შვილს, ბარბარეს, სიკეთე გაუკეთოს. მას ხომ ერთადერთი შვილი ჰყავდა. ცოლი ადრე გარდაეცვალა და მთელი თავისი სიყვარული თავის ერთადერთ ასულს, ბარბარეს მიუძღვნა. მაგრამ ეს სიყვარული იყო არასწორი, არასულიერი. სულ სხვას ეძიებდა ბარბარე - სულიერს. ერთი არის წარმართი და მეორე - ქრისტიანი. ერთი ეძიებს ამასოფლისას, მეორე კი - სულიერს.“

სოფელი ვერ იტევს უფლისმიერ სიბრძნეს და იწყება წმიდა ბარბარეს დევნა, მისი ნამება. მან არ დათმო თავისი რწმენა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობდა თავისი მამის ხასიათს, რომ ის უკან არ დაიხევდა და ბოლომდე ეცდებოდა ბარბარეს დამორჩილებას. მაგრამ წმიდანი ასეთივე მტკიცე რწმენითა და ურყევი ნებისყოფით მიიწევს წინ! ადამიანის არჩევანი განსაზღვრავს სრულყოფის კიბეზე სვლის მიმართულებას. ამ ამ კიბეზე მდგარი ორი ადამიანი - ბარბარე და მამამისი სხვადასხვა მიმართულებით იწყებენ სვლას: ერთი მიდის მალლა, მეორე ეშვება ჯოჯოხეთში და ყველაფერი მთავრდება იმით, რომ მამა თავისი ხელით კლავს საკუთარ შვილს.“

ამ დღესთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ხალხური ტრადიცია და ოჯახებში ლობიანებს აცხობენ, თუმცა მას, ისევე როგორც ამ დღის ბედობასთან კავშირს, ეკლესიასთან საერთო არაფერი აქვს.

ნიკოლოზი



წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი მცირე აზიაში, ლუკიის მხარის ქალაქ პათარაში ქრისტეს შობიდან 257 წელს დაიბადა. მის მშობლებს თეოფანეს და ნონას დიდხანს არ ჰყავდათ შვილი. ისინი ძალიან მდიდრები იყვნენ და თავიანთი ქონებიდან გაჭირვებულთათვის უამრავ მოწყალეებას გასცემდნენ. ამის გამო ადამიანთა სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. ამ სათნოებისათვის და ღვთისმოსიებით ცხოვრებისათვის, აგრეთვე გულმხურვალე ლოცვისათვის ღმერთმა მათ ვაჟი უბოძა, მომავალი მღვდელმთავარი და სასწაულთმოქმედი. სასწაულთმოქმედების უნარი წმინდა ნიკოლოზმა შობიდანვე გამოამჟღავნა.

სიყრმიდანვე უყვარდა სახარების კითხვა, ტაძარში სიარული და დიდ დროს უთმობდა გულმოდგინე ლოცვებს. მშობლებიც უწყობდნენ ხელს ბიჭს ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ისინი არა მარტო სახლში, გზაშიც კი არ წყვეტდნენ ნიკოლოზის ქრისტიანულ აღზრდას და მათი სწავლება ისე მტკიცედ გაუფჟდა ბავშვს, რომ ბავშვობიდანვე შეიყვარა გლახაკები.

არასდროს ისე არ ჩაუვლიდა, სანუგეშო სიტყვა რომ არ ეთქვა და მოწყალეება არ მიეცა მათთვის. ამის შემხედვარე ბიძამ, პათარას ეპისკოპოსმა, დაარწმუნა მშობლები, მიეცათ შვილი ღვთის სამსახურში და მათი ნებართვით აიყვანა იგი მღვდლის ხარისხში.

წმინდა ნიკოლოზს არასდროს შეუწყვეტია ტანჯულთა შემწეობა, დამცირებულთა და უსუსურთა განმტკიცება, სათნო საქმეების კეთება. მღვდელმთავრობისას კი უფრო მკაცრ მოსაგრეობას ეწეოდა, იყო განუწყვეტლივ მღვდლმთავრებაში, მკაცრ მარხვასა და ლოცვაში, სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა სრულყოფილების საფეხურებზე, სულ უფრო უახლოვდებოდა უსხეულო მდგომარეობას.

როცა მისი მშობლები გარდაიცვალნენ და მას მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვეს, წმინდა ნიკოლოზმა მთელი ეს ქონება ღარიბ-ღატაკ ადამიანს შესწია. ყოველივე ამას აკეთებდა უჩუმრად, სხვებისაგან დამალულად. შემდეგ იგი პალესტინაში გაემგზავრა წმიდა ადგილების თავყვანსაცემად.

სამშობლოში დაბრუნებული ნიკოლოზი ქალაქ მირონში წავიდა. იქ იგი ეპისკოპოსად აირჩიეს. აძლიერებდა წმინდა ნიკოლოზი თავის სამწყსოს. იგი მფარველი ანგელოზით ეცხდებოდა ყველა დევნილს, თავისი სათნო სიტყვითა და ნუგეშით ამხნეებდა ყველას. ამისთვის იგი შეიპყრეს და სხვებთან ერთად დილეგში ჩააგდეს. იგი მხნედ იტანდა შიმშილს, წყურვილს, ტანჯვას. საპყრობილეშიც ქადაგებდა ღვთის სიტყვას, გასცემდა მოწყალეებას. ანუგეშებდა იქ მყოფთ თავისი საუბრებით, საპყრობილეც საქადაგებელ ადგილად აქცია. 8 წელი გრძელდებოდა ასე.

გავიდა დრო და მდგომარეობა გამოკეთდა. კონსტანტინე დიდმა, რომელიც დიოკლიტიანეს შემდეგ გახდა იმპერატორი, ქრისტიანთა მფარველობა იწყო და თვითონაც ქრისტიანი გახდა.

წმინდა ნიკოლოზი 342 წლის 6 დეკემბერს ღრმად მოხუცებული (85 წლისა) გარდაიცვალა.

მისი სხეული საზეიმოდ დაკრძალეს ქალაქის საკათედრო ტაძარში. მისი უხრწნელი ნაწილები მაშინვე გამოსცემდნენ კეთილსურნელებას და მირონს. მისი შეხებით სნეულნი იკურნებოდნენ. მრავალი საოცრებანი ხდებოდა მის კუბოსთან. ამის შესახებ ამბები სწრაფად გავრცელდა მთელს ქვეყანაში და მლოცველთა ტალღამ ტაძრისაკენ იწყო დენა.

ტროპარი:

კანონად სარწმუნოებისა, და ხატად სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოსა შენისათვის ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმინდაო მღვდელმთავარო ნიკოლოზო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალეზად სულთა ჩვენთათვის.

კონდაკი:

მირონით გამო, წმიდაო, მსხვერპლის შემწირველად გამოსჩნდი, რამეთუ შენ ქრისტეს სახიერებაა აღასრულე, და დასდევ სული შენი ერისა მისთვის შენისა, და იხსენ უბრალონი სიკვდილისაგან, ამისთვისცა წმიდა იქმენ შენ, დიდი მესაიდუმლე მაღლისა ღმრთისა.



შენ მიეძებინანს წელი 2016, წითელი მაიმუნის წელი?

მთავარი წლის სიბოლო აკის წითელი მაიმუნი, კომპლიტ აკის ხელთგანი, აქვს შესტენტიკიული ხასიათი და სევე კლიეკი ინტუიტი. ის მკითავს დღეს 15:00 დან 17:00 საათამდე.

იღვლიანი ციფრები: 4 და 9

ყვავილები: ქრიზანთემა, ინდური იასამანი.

ფერები: თეთრი, ლურჯი, ოქროსფერი.

შესაბამისი პარტნიორი: გველი, ვეფხვი, მაიმუნი, მამალი.

დადაბითი თვისებები: რაციონალური, ერთგული, გულწრფელი, შემოქმედების უნარით დჯილდოვებული, მაღალი ინტელექტის მქონე.

უარყოფითი მხარეები: ზედმეტად ემოციური, კაპრიზული, გულგრილი.

შესაფარისი პროფესიები: კონსულტანტი, ექიმი, არქიტექტორი.



მაიმუნს სურს აისრულოს ყველა სურვილი, ამავე დროს არის ჯიუტი და არაპროგნოზირებადი-ძნელია გამოიცინოთ თუ რა ჩაიფიქრა მან. მისი ქმედებები, როგორც წესი ქაოტურია და შეიძლება შეცვალოს ნებისმიერ დროს, რაც დამოკიდებულია მის ხასიათზე.



მაიმუნი ეს არის არსება, რომელსაც აინტერესებს ყველაფერი. ეს გამოიწვევს იმას, რომ ადამიანი ჩაერევა სხვის საქმეებში და მათ თავის იდეებს მოახვევს. 2016 წლის მმართველი ჩვენ სიუპრიზებს გვიმზადებს და რთულია გამოვიცინოთ ეს როდის მოხდება და რით გაგვახარებს. მაიმუნი არის ძალიან ჭკვიანი, დახვეწილი, მაგრამ, ამავე დროს ირონიული. მას შეუძლია დასცინოს ძლიერ დრაკონს, ასევე არ ეშინია იხუმროს ვეფხვზე.



ის არის დამოუკიდებელი და ყველაფერს მარტო აკეთებს. მას ურჩევნია მალე გადაწყვიტოს პრობლემები, ვიდრე მათ გადაჭრაზე დიდხანს იფიქროს. აღმოსავლეთ ჰოროსკოპის თანახმად, მაიმუნს უყვარს სახლი და ოჯახი, მას ხიბლავს თბილი კერა და ის მშვენიერი დედაა. სწორედ ამიტომ 2016 წელი იდეალურია იმისთვის, რომ შექმნათ ბედნიერი ოჯახი, სადაც იქნება სიყვარული და ურთიერთგაგება.

ასტროლოგის რჩევები

ამ წელს დაბადებულები ყველაზე არასასიამოვნო და არამყარი ხალხია. მეორე მხრივ, ისინი ჭკვიანები, ორიგინალურები დამოხერხებულები არიან, გააჩნიათ გამომგონებლის ნიჭი და ადვილად წყვეტენ თვით ყველაზე რთულ პრობლემასაც კი. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს საქმე, რომლისთვისაც თავის გართმევას ისინი ვერ შეძლებენ.

მაიმუნის სუსტ ხასიატზე მიგვითითებს თუნდაც ის, რომ ადვილად შეიძლება მისი დაყოლიება და ასევე ადვილად იცვლის ინტერესების სფეროს, რადგან არ ყოფნის მოთმინება ბოლომდე მიჰყვას საქმეს, ყველა პრობლემის გადაჭრა სურს უცებ, მომენტალურად. სულ უბრალო წინააღმდეგობაც საკმარისია, რომ დასახულ მიზანზე ხელი აიღოს. ასევე უცებ ეცვლება გუნება-განწყობილება. ეს ხალხი გამოირჩევა ტემპერამენტით და სიფიცხით. მაგრამ, მეორეს მხრივ, გაბრაზება ადვილად გადასდით და წყენას გულში არ იტოვებენ, აქვთ დამოუკიდებელი მოქმედების უნარი, გააჩნიათ სადი აზროვნება, გამჭრიახობა, ბევრ მათგანს შეუძლია სახელის მოხვეჭა.

ა) ადამიანები, რომლებიც იდეალურად შეგეფერებათ როგორც სიყვარულსი, ასევე მეგობრობაში: ურჩხული და ვირთხა.

ბ) ადამიანები, რომლებთანაც თქვენი ურთიერთობა ნაკლებადაა გამართლებული: კურდღელი, ცხვარი, ძაღლი და მაიმუნი.

გ) ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ შეგეფერებიან არცერთი და არც მეორე თვალსაზრისით. უფრო მეტიც, მათთან კავშირმა უბედურება და კატასტროფაც კი შეიძლება მოგიტანოთ: გველი, ტახი და ვეფხვი.

**ახარი წრის ღამეს ყვერა სასწაყრის
მორორინშია და თითოეყრი თქვენგანი
მომავარ 365 ძრეს ძირი იმეყრით შეყყიხებს.
კიყრეყ ყფხო მეტი სიყყაყყრი, ნახმატეყა და
ბეყნიეყეყა სწყყიყით. ახრა კი გავიგოთ ხას
მოგვიტანს მაიმყნის ნეყრინაყი.**



ვერჰი - უჰლიარესი მატოჰა



ძალიან პირდაპირ და შემტეყ ვერძს უმჯობესია უფრთხილდეთ. თუმცა მისი მთავარი კოზირი ვნებიანი კოცნაა. ძალიან ტემპერამენტიანები არიან. ხშირად თავხედებიც, თუმცა სწორედ ეს ეხმარეყა მაღალი მწვერვალების დაპყრობაში. ვერძებმა ყოველთვის იციან რა და რატომ სურთ ცხოვრეყაში. თუ ამ სტატყას გაიზიარეყბთ წინ 4 წარმატეყული წელი გელით.

კურო - აღწავს ნაზისმირ მიზანს



ხანმოკლე რომანები კუროს სტილი არ არის, მხოლოდ სერიოზულ ურთიერთობებს სჯერდება. პრინციპულად მნიშვნელოვანია მიზნების მიღწევა. მათთვის შეუძლებელი არაფერია. კარგი კოცნა იციან და პარტნიორი ყოველთვის კმაყოფილია, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად. ამ სტატყის გაზიარეყბის შემთხვევაში წინ 2 ბედნიერი წელი გელოდებათ.

ტყუყაზი - ორმაგად იღვლიანეზი



ყველაზე ღირსეული ადამიანები. მათ ფანტაზიასა და იდეებს საზღვარი არ აქვს. ხანდახან მათი რჩევები ურსარგებლოდ და სისულელედ გეჩვენებათ, თუმცა დგეყა დრო როცა მათ ჭემმარიტეყაში რწმუნდებიით. არასდროს მიგატოვებთ რთულ სიტყაციაში. უბრალოდ მიიღეთ ისეთი, როგორც არის. სტატყის გაზიარეყა მომავალი 3 წლის მანძილზე დაუსრულებელ ბედნიერეყბას გიქადით.



შენ მიუბეზინს წელი 2016, წითელი მაიმუნის წელი?

მთავარი წლის სიბოლო აკის წითელი მაიმუნი, კომპლიტ აკის ხელთგანი, აქვს შესტენტიკიული ხასიათი და სევე კლიეკი ინტუიტი. ის მკითავს დღეს 15:00 დან 17:00 საათამდე.

იღვლიანი ციფრები: 4 და 9

ყვავილები: ქრიზანთემა, ინდური იასამანი.

ფერები: თეთრი, ლურჯი, ოქროსფერი.

შესაბამისი პარტნიორი: გველი, ვეფხვი, მაიმუნი, მამალი.

დადაბითი თვისებები: რაციონალური, ერთგული, გულწრფელი, შემოქმედების უნარით დჯილდოვებული, მაღალი ინტელექტის მქონე.

უარყოფითი მხარეები: ზედმეტად ემოციური, კაპრიზული, გულგრილი.

შესაფარისი პროფესიები: კონსულტანტი, ექიმი, არქიტექტორი.



მაიმუნს სურს აისრულოს ყველა სურვილი, ამავე დროს არის ჯიუტი და არაპროგნოზირებადი-ძნელია გამოიცინოთ თუ რა ჩაიფიქრა მან. მისი ქმედებები, როგორც წესი ქაოტურია და შეიძლება შეცვალოს ნებისმიერ დროს, რაც დამოკიდებულია მის ხასიათზე.



მაიმუნი ეს არის არსება, რომელსაც აინტერესებს ყველაფერი. ეს გამოიწვევს იმას, რომ ადამიანი ჩაერევა სხვის საქმეებში და მათ თავის იდეებს მოახვევს. 2016 წლის მმართველი ჩვენ სიუპრიზებს გვიმზადებს და რთულია გამოვიცინოთ ეს როდის მოხდება და რით გაგვახარებს. მაიმუნი არის ძალიან ჭკვიანი, დახვეწილი, მაგრამ, ამავე დროს ირონიული. მას შეუძლია დასცინოს ძლიერ დრაკონს, ასევე არ ეშინია იხუმროს ვეფხვზე.



ის არის დამოუკიდებელი და ყველაფერს მარტო აკეთებს. მას ურჩევნია მალე გადაწყვიტოს პრობლემები, ვიდრე მათ გადაჭრაზე დიდხანს იფიქროს. აღმოსავლეთ ჰოროსკოპის თანახმად, მაიმუნს უყვარს სახლი და ოჯახი, მას ხიბლავს თბილი კერა და ის მშვენიერი დედაა. სწორედ ამიტომ 2016 წელი იდეალურია იმისთვის, რომ შექმნათ ბედნიერი ოჯახი, სადაც იქნება სიყვარული და ურთიერთგაგება.

ასტროლოგის რჩევები

ამ წელს დაბადებულები ყველაზე არასასიამოვნო და არამყარი ხალხია. მეორე მხრივ, ისინი ჭკვიანები, ორიგინალურები დამოხერხებულები არიან, გააჩნიათ გამომგონებლის ნიჭი და ადვილად წყვეტენ თვით ყველაზე რთულ პრობლემასაც კი. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს საქმე, რომლისთვისაც თავის გართმევას ისინი ვერ შეძლებენ.

მაიმუნის სუსტ ხასიატზე მიგვითითებს თუნდაც ის, რომ ადვილად შეიძლება მისი დაყოლიება და ასევე ადვილად იცვლის ინტერესების სფეროს, რადგან არ ყოფნის მოთმინება ბოლომდე მიჰყვეს საქმეს, ყველა პრობლემის გადაჭრა სურს უცებ, მომენტალურად. სულ უბრალო წინააღმდეგობაც საკმარისია, რომ დასახულ მიზანზე ხელი აიღოს. ასევე უცებ ეცვლება გუნება-განწყობილება. ეს ხალხი გამოირჩევა ტემპერამენტით და სიფიცხით. მაგრამ, მეორეს მხრივ, გაბრაზება ადვილად გადასდით და წყენას გულში არ იტოვებენ, აქვთ დამოუკიდებელი მოქმედების უნარი, გააჩნიათ სადი აზროვნება, გამჭრიახობა, ბევრ მათგანს შეუძლია სახელის მოხვეჭა.

ა) ადამიანები, რომლებიც იდეალურად შეგეფერებათ როგორც სიყვარულსი, ასევე მეგობრობაში: ურჩხული და ვირთხა.

ბ) ადამიანები, რომლებთანაც თქვენი ურთიერთობა ნაკლებადაა გამართლებული: კურდღელი, ცხვარი, ძაღლი და მაიმუნი.

გ) ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ შეგეფერებიან არცერთი და არც მეორე თვალსაზრისით. უფრო მეტიც, მათთან კავშირმა უბედურება და კატასტროფაც კი შეიძლება მოგიტანოთ: გველი, ტახი და ვეფხვი.

**ახარი წრის ღამეს ყვერა სასწაყრის
მორორინშია და თითოეყრი თქვენგანი
მომავარ 365 ძრეს ძირი იმეყრით შეყყიხებს.
კირეყ ყფხო მეტი სიყყაყყრი, ნაყმაცება და
ბეყნიეყება სნყყიყით. ახრა კი გავიგოთ ჰას
მოგვიტანს მაიძყნის ნეყრინაყი.**



ვერჰი - უჰლიარესი მატოჰა



ძალიან პირდაპირ და შემტეყ ვერძს უმჯობესია უფრთხილდეთ. თუმცა მისი მთავარი კოზირი ვნებიანი კოცნაა. ძალიან ტემპერამენტიანები არიან. ხშირად თავხედებიც, თუმცა სწორედ ეს ეხმარება მაღალი მწვერვალების დაპყრობაში. ვერძებმა ყოველთვის იციან რა და რატომ სურთ ცხოვრებაში. თუ ამ სტატყას გაიზიარებთ წინ 4 წარმატებული წელი გელით.

კურო - აღწავს ნაბისმირ მიზანს



ხანმოკლე რომანები კუროს სტილი არ არის, მხოლოდ სერიოზულ ურთიერთობებს სჯერდება. პრინციპულად მნიშვნელოვანია მიზნების მიღწევა. მათთვის შეუძლებელი არაფერია. კარგი კოცნა იციან და პარტნიორი ყოველთვის კმაყოფილია, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად. ამ სტატყის გაზიარების შემთხვევაში წინ 2 ბედნიერი წელი გელოდებათ.

ტყუავაბი - ორმაგად იღვლიანები



ყველაზე ღირსეული ადამიანები. მათ ფანტაზიასა და იდეებს საზღვარი არ აქვს. ხანდახან მათი რჩევები ურსარგებლოდ და სისულელედ გეჩვენებათ, თუმცა დგება დრო როცა მათ ჭეშმარიტებაში რწმუნდებით. არასდროს მიგატოვებთ რთულ სიტყაციაში. უბრალოდ მიიღეთ ისეთი, როგორც არის. სტატყის გაზიარება მომავალი 3 წლის მანძილზე დაუსრულებელ ბედნიერებას გიქადით.

ნიჭიერი და ფრთხილი მაიმუნი პარტნიორებთან ერთად



პირი მაიმუნი - მართალია მერყევი ხასიათით გამოირჩევა, მაგრამ ამ ადამიანს გასაოცარი უნარი გააჩნია ნებისმიერი პრობლემიდან იპოვნოს გამოსავალი. მაიმუნ ვერძს ხასიათის სიმყარე არ ახასიათებს, ამიტომ იგი ხშირად იცვლის ინტერესების სფეროს და გარემოცვას. ერთი შეხედვით უდარდელის და მეამიტის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს ნუ მოგატყუებთ, საჭიროების შემთხვევაში, ამ ადამიანს თავდაცვაც და თავდასხმაც ერთნაირი ოსტატობით შეუძლია.

კურო მაიმუნი - რომანტიული და მეოცნებე კურო -მაიმუნი, გარშემომყოფებთან ადვილად ამყარებს მეგობრულ ურთიერთობას. მას უყვარს სილამაზე, კინემატოგრაფია, მუსიკა..მოკლედ, ყველაფერი რაც კავშირშია შემოქმედებასთან. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ამ ადამიანებს შორის ხშირად გვხვდებიან სხვადასხვა პროფილის მქონე ხელოვანები. თუმცა კუროს სიზანტე და პასიურობისკენ მიდრეკილება, ხშირად აიძულებს მაიმუნ-კუროს, რომ ვინმე ენერგიული პარტნიორი ან აქტიური თანამოაზრე ეძებოს საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ტყუპი მაიმუნი - როგორც წესი, მაიმუნ-ტყუპს უამრავი ბრწყინვალე იდეა მოსდის თავში, მაგრამ მიუხედავად ნიჭიერებისა, ამ ადამიანს იშვიათად ყოფნის ნებისყოფა დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად. თუმცა თუკი გაცილებით განზნანსწორებულ პარტნიორს იპოვნის, მისი იდეები (მათგან ბევრი მართლაც რომ ბრწყინვალე!) შესაძლოა განხორციელდეს კიდევ. მაიმუნი-ტყუპი არაკონფლიქტური პიროვნებაა, დაძაბულ სიტუაციაში იგი კამათში ჩაბმას ერიდება და თავის გარიდებას არჩევს. ამასთან ერთად მას წყენის გულში ჩადება არ ახასიათებს, აქედან გამომდინარე მტერი, როგორც ასეთი მაიმუნ-ტყუპს ცხოვრებაში იშვიათად ჰყავს.

კირჩხიბი მაიმუნი - ერთი შეხედვით უწყინარი და დაუცველი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ეს მხოლოდ ნილაბია რომელსაც მაიმუნი-კირჩხიბი საზოგადოებაში იყენებს. რეალურად კი ეს ადამიანი არაჩვეულებრივი სტრატეგია და ყველა შესაძლო სვლა გათვლილ-გაანგარიშებული აქვს ცხოვრებაში. კირჩხიბ-მაიმუნს უყვარს ფული, შესაბამისად მის მოსაპოვებლად არაფერს ერიდება, თუმცა მაქინაცხები რომელსაც იგი მაიმუნის ეშმაკობით ანხორციელებს, ბევრისთვის აფსოლუტურად ამოუხსნელი და გაუგებარია.

ლომი მაიმუნი - უზომოდ ცნობისმოყვარე, კომუნიკაბელური და ავანტიურისტი მაიმუნი-ლომი, ხასიათის ცვალებადობით გამოირჩევა. რისკის სიყვარული, ხშირად უბიძგებს მას იმისკენ, რომ საეჭვო გარიგების მსხვერპლი გახდეს. თუმცა უნარი, ადამიანებს სიკეთე გაუკეთოს და საჭიროების შემთხვევაში გულითადი მეგობრობა აღმოუჩინოს შველის მაიმუნ-ლომს იმაში, რომ ნებისმიერ სირთულეს თავი ღირსეულად დააღწიოს.

ქალწული მაიმუნი - მისგან შესანიშნავი ბიზნესმენი (ბიზნესლენი) ან გამომძიებელი შეიძლება დადგეს. ქალწული-მაიმუნი ბუნებით მაძიებელი და რისკის მოყვარულია. მას მაგნიტივით იზიდავს ყველაფერი რაც იდეუმალების ბურუსითაა მოცული და ცხრაკლიტულში დევს. ამასთან ერთად, ეს ადამიანი პატარა ასაკიდან დამოუკიდებლობის სიყვარულით გამოირჩევა, რის საფუძველზეც მას შეუძლია ცხოვრებაში ნებისმიერ სირთულეს თავი სრულიად მარტომ გაართვას.

სასწორი მაიმუნი - იგი წინდახედული, გონიერი და საკმაოდ ეშმაკია. მაიმუნის შორსმჭვრეტელობა და მოქნილობა, სასწორისთვის დამახასიათებელ გარეგნულ ხიბლთან ერთად საკმაოდ სახიფათო ადამიანს აყალიბებს. მაიმუნმა-სასწორმა ყოველთვის კარგად იცის რა უნდა, მაგრამ მიზანს იგი როგორც წესი შემოვლითი გზებით უახლოვდება. ეს ადამიანი კარგად ახერხებს მოკავშირეების პოვნას, თუმცა თვისება ერთბაშად ორ კურდღელს სდიოს, ხშირად ხდება მისთვის წარუმატებლობის მიზეზი.

ასტროლოგია

მორიელი მაიმუნი - არაპროგნოზირებადი, ნიჭიერი და ძალიან ფრთხილი მაიმუნი-მორიელი, ბევრისთვის წარმოადგენს საშიშ მოწინააღმდეგეს. ამ ადამიანის მოქმედების წინასწარ გამოცნობა ძალზე რთულია. მას შეუძლია ნებისმიერი რამის ჩადენის უფლება მისცეს საკუთარ თავს, თუკი კონკრეტულ სიტუაციაში ასე აწყობს. მაიმუნი-მორიელი, იშვიათად ეხმარება ვინმეს უანგაროდ, თუმცა ჩადენილ სიკეთეს არასოდეს ივინყებს და ყოველთვის ცდილობს ვალში არასოდეს დარჩეს კეთილისმყოფელის წინაშე.

მშვილდოსანი მაიმუნი - ერთერთი საუკეთესო კომბინაციაა მაიმუნისთვის. მშვილდოსანი-მაიმუნი დაკვირვებული, მიზანსწრაფული და განონასწორებული ტიპია. ამ ადამიანს შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი და ლოგიკური აზროვნების უნარი გააჩნია, იგი კარგად ახერხებს ერთმანეთისგან გაარჩიოს არასაჭირო და მართლა გამოსადეგი ინფორმაცია, ისევე როგორც ადამიანები. აქედან გამომდინარე, მაიმუნ-მშვილდოსნებს ხშირად უწევთ ცხოვრებაში მაღალი პოსტის დაკავება და ხელმძღვანელის როლში ყოფნა.

თხის რქა მაიმუნი - მიზნისკენ ჯიუტად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმავალი თხის რქის და ცხოვრების გზაზე უდარდელად მოხტუნავე მაიმუნის თვისებების თავმოყრა, დამეთანხმებით საკმაოდ რთული კომბინაციაა. თუმცა მაიმუნი-თხის რქა, რომელსაც არაჩვეულებრივი ინტუიცია და კარგი ფინანსური ალლო გააჩნია, სწორედ ამ თვისებების წყალობით ახერხებს, ოსტატურად გადაახტეს სახიფათო მონაკვეთებს, ისე რომ საკუთარ მისწრაფებებზე უარი არასოდეს თქვას.

მერწყული მაიმუნი - შესანიშნავი კომბინაციაა. მაიმუნის ეშმაკობა და ლავირების უნარი, მერწყულის ჰუმანიზმთან და კაცთმოყვარეობასთან ერთად, ძალზე საინტერესო და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანს იძლევა. მაიმუნ-მერწყულს უყვარს სწავლა, ამიტომ გამუდმებით ცდილობს ერუდიციის დონე აიმაღლოს. იგი უზომოდ ცნობისმოყვარე და კონტაქტურია, თუმცა პერიოდულად მარტოობაც ესაჭიროება, აქედან გამომდინარე მის ცხოვრებაში აქტიურ პერიოდებს, ხშირად ცვლის აფსოლუტური პასიურობის ხანა, რომლის დროსაც მაიმუნი-მერწყული დახარჯულ ძალებს ინაზღაურებს.

თიკვაზი მაიმუნი - ეს მოსიყვარულე, ემოციური და გულმონყალე ადამიანია. თუმცა, მიუხედავად გარეგნული სიფაქიზისა, თევზი-მაიმუნიც, ისევე როგორც დანარჩენი მაიმუნები, უზომოდ ჭკვიანი და წინდახედულია. ამიტომ იგი კარგად სწავლობს საკუთარ შეცდომებზე. მათგან შესანიშნავი დიპლომატები და საზოგადო მოღვაწეები გამოდიან.

სალაღობოდ



სარკე და მაიმუნი

ივანე კრილოვი

თარგმანი აკაკი წერეთლისა



მაიმუნმა თავის თავი
სარკეში რომ დაინახა
დანრანჭული, დაჯღანული,
დათვს წასტორა, მიაძახა:

მე რომ ვიყო მაგისტანა,
დაუძალავდი სწორედ თავსო,
თუმცა ჩვენშიც კი ბევრია,
რომ სრულებით მაგას ჰგავსო!“

„მოდი, ერთი ჩაიხედე!
რა გიჩვენო, დათუჩაო?
ვინ არის და სად მოსულა
ეს მახინჯი და ტუჩაო?“

დათვმა უთხრა: „ჩემო დაო!
რად ათითებ ტყვილა სხვებსო?
შენს თავზე რომ დაიხედო,
მე ვგონებ, ის აჯობებსო“.

ასტროლოგია

ხალხში გავრცელებულია გამოთქმა, რომ ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელ წელს ისე გაატარებ. ამ სადღესასწაულო დღეებისათვის მართლაც რომ განსაკუთრებულად ვემზადებით და მის დადგომას ყოველთვის მომავალ სასიკეთო ცვლილებას ვუკავშირებთ. მაინც როგორ უნდა შეხვდეთ ახალ წელს და რა საჭირო ნაბიჯები გადავდგათ? ფსიქოლოგები და პარაფსიქოლოგები რამდენიმე განსაკუთრებულ რჩევას გვთავაზობენ.

უპირველეს რიგში საჭიროა, რომ საკუთარი ბინა გავაპრიანოთ. ამ დარბის სპეციალისტები რეკომენდაციას გვაძლევენ, რომ საძვინანობას აუცილებლად 31 დეკემბრის დილას შევუდგეთ. ბინა ძველი ცოცხით უნდა დავვაკოთ. შუაღლისას ცოცხი სახლიდან რაც შეიძლება შორს უნდა გადავავლოთ, მისი შემცვლელი კი შენასვლელ კართან, კუთხეში მოვათავსოთ. ეს იმიტომ კეთდება, რომ ოჯახში ფული შემოვიდეს.

საახალწლო სუფრას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ. აუცილებელია ტრიზუთი თხილი და თაფლია, რომლებსაც ოჯახისათვის ბარაქა და სიმდიდრე მოაქვს. ასევე მისასალმებელია, თუ სუფრაზე დააწყობთ ფორთოხალს. ფორთოხალი ჩინელებისათვის მატერიალური უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა.



ყურადღებით შეარჩიეთ სათანადო მიკვლა. თუ პირველი სტუმარი წარმატებული ადამიანი აღმოჩნდება, თქვენს ოჯახს მთელი წელი წინ სვლა გარანტირებული ექნება. მომავალი წლის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭიროა რომ ახალი წლის დამეს მთვარეს მსხვილი ფული ვუჩვენოთ. ეს ცოტა არ იყოს სარისკო რიტუალია, რადგან ფული მხოლოდ ახალ მთვარეს უნდა დავანახოთ, რომელიც შევსებული ჯერ არ არის.

პარაფსიქოლოგის რჩევები. პარაფსიქოლოგები კატეგორიულად გვიკრძალავენ ახლობელ-მეგობრებისათვის ალკოჰოლური სასმელების ჩუქებას. ამ სახის საჩუქარი თურმე ოჯახის წევრ „ძლიერი სქესის“ წარმომადგენლებზე უარყოფითად მოქმედებს და ერთგვარი ჯადოს ფუნქციასაც ასრულებს.

ახალი წლის პირველ დღეს აკრძალულია დაულაგებელი სახლით შეხვედრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში თქვენს სახლში ქაოსი და არეულობა იქნება.

პირველი იანვრისათვის მრავალ ტკბილეულობას ვამზადებთ. მაინც შეეცადეთ, რომ სუფრა საკუთარი ხელით გამომცხვარი თაფლაკვერებით გაამდიდროთ, რადგან ეს კულინარიული ნაწარმი მთელი წლის განმავლობაში ბოროტი ძალების გავლენისაგან დაგიცავთ.

ნაძვის ხის განყოფილებაზე ადვილი არაფერი არ არის, მაგრამ თურმე მასაც საკუთარი ფილოსოფია გააჩნია. ბოლო პერიოდში, ევროპაში აპრობირებული გამოცდილებიდან გამომდინარე გეტყვით, რომ თურმე ნაძვის ხის განყოფის რამდენიმე წესი არსებობს.

მონო ნაძვის ხე — ნაძვის ხე, რომელიც მხოლოდ ერთი ფერისა და ზომის ბურთებითაა მორთული. დაგჭირდებათ ბურთებისგან განსხვავებული ფერის “წვიმები”.

შოტლანდიელი — სახელწოდებიდან გამომდინარე ადვილი მისახვედრია, რომ უამრავი კუბოკრული ნაჭერი დაგჭირდებათ, განსაკუთრებით ლენტები.

რატრო — წინაპრების ტრადიციები გაიხსენეთ და ნაძვის ხე კანფეტებით, ვაშლებითა და მანდარინებით მორთეთ. თუ ბებიების შემორჩენილი სათამაშოებიც შემოგრჩათ, ნაძვის ხე კიდევ უფრო დამშვენდება.

ალტარნატივა — ეს ერთდროულად ადვილი და ამავდროულად რთული სტილია. ამ შემთხვევაში საკუთარ ფანტაზიას უნდა დაეყრდნოთ და სათამაშოების ნაცვლად შეგიძლიათ ხელით ნაქსოვი წინდები დაკიდოთ, ან სულაც ბურთების ნაცვლად ხე დიდ საოჯახო ფოტოალბომსაც გადააქციოთ და მის ტოტებზე ახლო ნათესავების სურათები ჩამოკიდოთ. მერწმუნეთ, რომ თქვენი საახალწლო ნაძვის ხე, მართლაც რომ ყველაზე ორიგინალური აღმოჩნდება.



გამცირებული ბოლოების ოჯახური სიმთვინია

უუ... ნადია... გამოიხედე შე ქალო, სტუმრები გვენვივნენ, სტუმრები, შესძახის გახარებული მასპინძელი მეზობელს და თან ქალაქიდან ჩასულ ჟურნალისტებს წინ მიუძღვით. აქანა გამყრელიძეების ნამოსახლარია, ემოციურად ქოთქოთით განაგრძობს თხრობას პელაგია, ერთ დროს ახმაურებულ კერაზე დღეს ეს ხავსმოდებული კედლებილა შემორჩა. სამამულო ომის დროს ჩვენი, სოფელი ადიგენის რაიონში გადაასახლეს, რამდენიმე ოჯახილა შემოვრჩით. ამ სახლში გამყრელიძეები ცხოვრობდნენ. გადასახლების დროს ოჯახის უფროსი შვილი ვანო ჯარში იყო. უკან დაბრუნებულმა მშობლიურ ჯუთხეს მონატრებულმა ბიჭმა ისევ თავის რაიონში დარჩენა ამჯობინა და მეუღლის სოფელში სევამი დასახლდა, ყველა პელაგია და თან თავშალს ისწორებს, — ამ ცხოვრებას რა ვუთხარი, ხვალ თუ ზეგ ჩემს სახლსაც იგივე ბედი მოელის, კარგი მონაგარი მყავს, მაგრამ ისინი აქაურობის მომხედავი არ

არან. ხავსი შეჭამს ჩემს ნაოფლარს, ამბობს პელაგია და თან ნაოჭებისგან დაღარულ სახეს ცრემლი უნამავს. ამასობაში გამზადებული ხონჩით ნადია გამორბის, — პელაგია, შე ქალო, შემოიყვანე სტუმრები ეზოში, რავა ჭიშკარში დაგიყენებია, — მობრძანდით, გენაცვალე, მობრძანდით. ჩვენლა შემოვრჩით ამ უბანში, ერთი დაქალი გყავს კიდევ, ქსენია, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით ქვა—ლორლით აივსება აქ მოსასვლელი გზა. არა და რა დრო იყო ნადია, ჰა?... უწერა, ჩვენი მყავე წყლები... ვინ აღარ მოდიოდა, საიდან არ გვსტუმრობდნენ. ახლა უპატრონობაა ჩვენი სტუმარიც და მასპინძელიც. ასეთი დიდებული კუთხე მიტოვებული და დავიწყებულია. პირობები არა გვაქვს შვილო, ჩვენ სიცოცხლის ბოლომდე აქ უნდა ვიყოთ, ყველანაირ ფუფუნებას ჩვენი სახლ-კარი და ეზო-კარ-მიდამო გვირჩვენია, ახალგაზრდებს აქ რა გააჩერებს. რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. ამოიოხრა ნადიამ და თან სტუმრები ეზოში სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიიწვია.



ჟურნალისტებმა ყველაფერი ჩაინიშნეს, სურათები გადაიღეს და მასპინძლებს მადლიერებით აღვსილნი დაემშვიდობნენ. გეზი ონის რაიონისკენ აიღეს, მძღოლმა სტუმრები სევამი მიიყვანა, იქ, სადაც წინა საუკუნეში უწერელი გამყრელიძეების ოჯახი დაფუძნდა, ბოქლომდადებული სახლი მდუმარედ დახვდა სტუმრებს, მაგრამ სად იყო და სად არა, ეზოში კავკასიური ნაგაზი, ბასა გამოჩნდა მოხდენილი გამომეტყველებით სტუმრებს შესქეროდა, მე ვარ აქ, ეს სახლი ჩემი პატრონისაა და აქ შემოსვლის უფლებას ვერავის მივცემო.

სტუმრები ჭიშკართან მიახლოებას ვერ ბედავდნენ. მზიანი ამინდია, რაჭის განმაცხოველებელი ჰაერის ფონზე მზისგან ნაქსოვი ფარდაგი ოქროსფრად მოსავს მიდამოს. გვიანი შემოდგომის მიუხედავად ნაცრისფერს მანც



სიცოცხლის ნიშა დაჰკრავს. მზის გულზე სევის ჯვართან თავმოყრილი სეველები სტუმრებს გულუხვად დახვდნენ. ყველა ბასას ერთგულებაზე ლაპარაკობდა. ასეთი ერთგულებით დღეს ადამიანებიც ვერ დაიქადნიანო, ამბობენ. ამ სახლში ზალიკო და ჟუჟუნა ცხოვრობენ. საუკეთესო ოჯახია, სამი ვაჟკაცი ჰყავთ. ზაფხულში ყოველთვის აქ არიან, დანარჩენად ბასა პატრონობს აქაობას, ეზოში ჩიტიც ვერ აიფრენს უიმისოდ. ერთი ნუთით არ ტოვებს ეზოს. ქალაქიდან ჩამოსულ ოჯახს კი საოცარ დახვედრას უწყობს—ჰყვებიან სეველები და თან სტუმრებს რაჭული ლორით, ლობიანით, მწნილითა და თითო ჭიქა წითელი ღვინით უმასპინძლდებიან.

მასპინძლებს ბედნიერი სახეები აქვთ. ზამთრის პირზე სოფელი სტუმრებს ჩვეული არ არის. აქ როგორც წესი, სიცოცხლე ზაფხულში სჩქეფს, ამ დროს კი მხოლოდ მოზამთრე რაჭვლები არიან სოფლად ბელურებივით შეყუჟულნი, ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობენ და დროდადრო დაკეტილ სახლებსაც შეავლებენ თვალს.

ერთიორად გახარებული არიან სტუმრები. ასეთი ბუნებრივი, ალალი ურთიერთობა ქალაქელებისათვის ყურადღებამისაქცევი გახდა. მასპინძლები ჭიქას ჭიქაზე ცლიან, რაჭული

დიალექტით დამშვენებულ სადღეგრძელოებს ლოცვასავით ღალადებენ და არც სტუმრებს პატიობენ რამეს, — აბა, ბოლომდე, ბოლომდე დაცალეთ, ასე მტერი დაგვეცალოსო, ყვირის უკვე შეზარხოშებული შოველიკა და თავქვე დამხობილი ჭიქიდან ბოლო წვეთს ცერა თითის ფრჩხილზე იწვეთებს.

მორიგი სადღეგრძელო ბასას ოჯახისა შესევს. თამადამ, სტუმრებს ყურადღება სთხოვა და დაიწყო: აი, აქ, ამ ოჯახში ერთი მაღლიანი ცოლქმარი ცხოვრობს. ზალიკო გამყრელიძე და ჟუჟუნა გუგუჩაშვილი ვანოსა და ზინას დანატოვარ კერას უფრო აღვივებენ, ზალიკო აქ დაიბადა და გაიზარდა, სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში საავიაციო ქარხანაში დაიწყო მუშაობა, საიდანაც უმაღლესი განათლების მისაღებად ქალაქ გორკში მიავლინეს, პროფილად კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტი აირჩია. უკან დაბრუნებულმა ახალგაზრდამ კვლავ საავიაციო ქარხნას მიაშურა, ახლა უკვე სამხედრო პიონერული ბანაკის უფროსის თანამდებობა შესთავაზეს. ამის შემდეგ სულით ხორცამდე „კულტურული მუშაკი“ სახელმწიფო ფილარმონიაში აგრძელებს მუშაობას. ამავე დროს ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის“ ხელმძღვანელი და დამფუძნებელი ნამდვილი რაჭველი კაცია, ჩვენი ყველას პატრონი და გამკითხავი. ფშაველი რძალი გვყავს, ქალბატონი ჟუჟუნა, იფიქრებ რაჭველი დედის გაზრდილიაო, ისე მიგვიღო და შეგვიყვარა ყველანი, ჩვენი საამაყო რძალია.

— გაუმარჯოს, ზალიკოს ოჯახს გაუმარჯოს, ისმის აქეთ-იქიდან შეძახილები და ჭიქის ჭიქაზე მირტყმით ერთმანეთს მხარს უბამენ. სვამს ყველა, სტუმარი და მასპინძელი. უკვე კარგად შეზარხოშებულმა ჯონიუკამ სიმღერა წამოიწყო, ...ქვედრულა მოდიდებულა... სუფრის წევრებმა ბანი მისცეს და კარგი ორპირულიც დააგუგუნეს.

აბა, ახლა შემდეგი სადღეგრძელო უნდა შემოგთავაზოთ, დაიწყო შოველიკამ და თან ისეთ



სახეს იღებს, რომ ცდილობს სტუმრებს თავი ფხიზლად მოაჩვენოს. არა და ეს დალოცვილი სითხე ხომ თავისას შვრება, თუმცა სიძინჯით გამორჩეულ რაჭველებს სასმელი გონებას ისე ადვილად ვერ აურევს. — ახლა ჩვენი ზალიკოს და ყუყუნას შვილების, სამი სახელოვანი ვაჟკაცის სადღეგრძელო მინდა შევსვა. ზალიკო მართალია ცოტა გვიან დაქორწინდა, მაგრამ ვაჟიანობამ არ დააგვიანა და დღეს ცოლ-ქმარი ლომივით ვაჟკაცებს მთელი სიამაყით შეჰყურებს. უფროსი ვაჟი გიორგი სახელოვანი ბიჭია, მამის სამსახურიდან გამომდინარე ფილარმონიაში გაიზარდა, ხელოვნების კორიფეების გვერდით ინრთობოდა. სწორედ ამიტომ მისი მომავალი საქმეც ხელოვნების სფერო გახდა. წარმატებული ახალგაზრდაა. სანკტპეტერბურგის ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის ფრიადოსნის სტიპენდიანტია. არის ტელეკომპანია „იმედის“ პროექტის „იმედის გმირი“, ღირსების ორდენის კავალერი სამოქალაქო თავდადებისათვის. უკვე შემდგარი რეჟისორი.

გიორგის უმცროსი ძმები, ტყუპები ერეკლე და იაკობი „ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის კურსდამთავრებულები არიან. ერეკლე რეჟისორია, იაკობი კრიმინალისტი. იაკობმა სწავლა „ღია უნივერსიტეტში“ ოჯახური ტურიზმის მიმართულებით განაგრძო.

ტყუპებს დიდი გეგმები აქვთ. ხვალ და ზეგ ზალიკოს ბიჭები საყვეყნოდ ცნობილი ადამიანები იქნებიან და ჩვენც მეტი რა გვინდა, ამ პატარა სოფლის სახელს შორს, დედაქალაქში და მის ფარგლებს გარეთ გაიტანენ.

აბა, ერთხმად, ერთხმად ვადღეგრძელოთ



გამყრელიძეების ლომებივით ვაჟკაცები და მათი თამაძობით ჩვენი სოფლიდან აფრენილ მომავალ თაობას გაუმარჯოს. თქვა შოველიკამ, ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა, მრცხვენია ხელი წვერზე მოისვა და თვალები ზეცას მიაპყრო, ღმერთო, შენ გაუმარჯვე ჩვენს სოფელს, მიეცი სახელოვანი შვილები, რომ ხვალ და ზეგ აქაობას ყვავ-ყორნები არ დაეპატრონონო.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს ჩვენი ზალიკოს ბიჭებს, თქვა ჯამბულიკამ.

— ვენაცვალე ჩემს ზალიკოს, ჩემს ხელში გაზრდილი ბიჭია, კარგი წყლის კარგი ყინული დგება, ამიტომაც ჰყავს ასეთი შვილები, თქვა ქალბატონმა ლეილამ.

სუფრა ახმაურდა, სადღეგრძელო ყველამ თავისებურად შესვა და ერთი ფერხულიც დააგუგუნეს... რაშოვდას ფონზე სვევლებმა ერთი კობტა რაჭული ცეკვაც აჩვენეს სტუმრებს, აი ისეთი, სანახშოზე რომ იცინან.

დამშვიდობების დრო დადგა. მადლიერი სტუმრები მასპინძლებს ღვთისმშობლის სადღე-გრძელოთი ემშვიდობებიან. შურნალისტების გუნდმა მიზანს მიაღწია. ერთი რაჭველი ოჯახის ქრონიკა ქრონოლოგიურად შეკრა და რაჭის მატრიანესთვის განამწესა.

ზალიკო გამყრელიძის ოჯახი თბილისში კარგად არის ცნობილი. სწორედ ამიტომ გახდა იგი შურნალისტური აღლოს თემა, მიზანი და აღსრულებული იდეა.

გამყრელიძეების ახალ წელს მთელი გულით ელოდებიან. რაჭული წესითა და ტრადიციებით აღსავსე ოჯახი წლის დღესასწაულად ორ იანვარს მიიჩნევს, ოჯახის უფროსის, ბატონი ზალიკოს დაბადების დღეს ბედობის დღესასწაული ერთვის და დიდი ოჯახი ახლობელ-ნათესავებთან ერთად დღესასწაულს ზეიმობს.

ბასა კი სულმოუთქმელად მოელის მონატრებულ პატრონებს. გაზაფხული ხომ მალე მოვა...



ტაჭუელი მეპატრონის სატყაპი თაუგადასაუალი, პიტტ-ანტუტში - „ძვე აქ ან ვანტტა და ტმში ტა უნდა ძნას, მთმთ?“

„საყვარელი ჩემო ძალიო! აგერ, კუჭოყუა თაუისუტაღობა და იმას ვაწან ამ ბარათსა, რომ გაგაგებოთ კარგათ ვარ და ქვე ისეთი არათუნი მიჭინს არც მე და არც ჩვენ მეზობელსა მაკარას. ახლა იაპონელები ამბობენ, ქვე ნყარათუნის ჯაჯრი გაქვთათ, თქვენს გაგანთაუისუტაღობათ. მომიკითხე ყველა. შენი დაკარგული ქმარი სევა“.

1904-1905 წლების ომი იაპონიასთან, რუსეთის იმპერიისათვის დაღუპვის დასაწყისი აღმოჩნდა...

რადგანაც „ძღვეამოსილი“ რუსული არმიის დამარცხებას ასე მცირერიცხოვან მეტოქესთან სანქტ-პეტერბურგში კი არა, მთელ მსოფლიოში ვერავინ წარმოიდგენდა. რუსული არმიის დაუმარცხებლობაზე მითი წამში გაცამტვერდა, როდესაც 1904 წლის ბოლოს იაპონელებმა რუსები თითქმის ყველა ფრონტზე შეავინროეს.



მაშინ კი დაფაცურდნენ ცარიზმის მესვეურები და საყოველთაო მობილიზაციაც გამოაცხადეს: ჯარში მიჰყავდათ ყველა მამაკაცი 20-დან 55 წლამდე, მოხალისეებად 60 წლისებსაც იღებდნენ. საყოველთაო მობილიზაციის პროცესი განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა არარუსულ მხარეებში - იქაურები ომში მოტყუებითაც კი მიჰყავდათ, „საზარბაზნე ხორცად“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თავად რუს კაზაკებს, რომელთაც ომიანობის დროს ჯარში წასვლა ძველთაგან ევალეობდათ, იაპონელი ჯარისკაცებისა ისე ეშინოდათ, რომ ფრონტზე წასვლისაგან თავის ასარიდებლად ათასგვარ ხერხსაც კი მიმართავდნენ - გარბოდნენ საზღვარგარეთ, იცვლიდნენ რელიგიას (მეფის რუსეთის არმიაში მუსლიმანებს და კათოლიკეებს არ იწვევდნენ) და ა.შ.

საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება რაჭველმა მეპატრონე - სევარიონ (იგივე სევა) რეხვი-აშვილმა პირველად ქუთაისის ბაზარში გაიგო, თუმცა დიდი ყურადღება არ მიუქცევია, რადგან არც კი იცოდა, რას ნიშნავდა მობილიზაცია. მერე მეზობელმა მაკარამ აუხსნა: იაპონიასთან რუსებს ომი დაუნყიათ და ახლა ჯარისკაცებს აგროვებენო. მოგვიანებით, სევამ თვითონვე ნახა საომრად მიმავალი გოროდოვოი (ასე ეძახდნენ მაშინ რუსეთის იმპერიაში დაბალი რანგის პოლიციელებს) პეტკა, რომელიც არყის სმის მეტს არაფერს აკეთებდა და გაუკვირდა: „ქვე აქ არ ვარგოდა და ომში რა უნდა ქნას, ბოშო?!“ - შეეკითხა მაკარას. ახალ ფორმაში გამოწყობილმა გოროდოვოიმ კი ერთი შეუბღვირა და მედიდურად თქვა: „ჯარში ძლომაზეა საჭმელ-სასმელი და არაყსაც საფრონტო ნორმით იღლევიან!“

ამის მერე სევა რეხვი-აშვილმა მთელი დღე იფიქრა და დაასკვნა, რომ თუ ჯარში საჭმელ-სასმელი სულ ძლომაზე იყო, მზარეული ან მეპატრონეც დასჭირდებოდათ და შესაბამისად, მასაც შეეძლო წასულიყო ჯარში, საყვარელი საქმე ეკეთებინა და ფულიც საკმარისად აელო. სევას რაჭაში ახალმოყვანილი ცოლი ჰყავდა დატოვებული, რომელსაც დღე-დღეზე უნდა მოელოგინებინა. ერთი-ორი თვით წავალ და გამოვკვებავ ჯარისკაცებს, ფულს ვიშოვი და მერე დავბრუნდებიო - ფიქრობდა რაჭველი მეპატრონე. თავისი გადანყვეტილება მან უფროს მეგობარს - მაკარასაც გაუმხილა. „რას ამბობ, ბოშო?! მარტო ქვე რაფერ გაგიშვა ომში, ჭი...“ - შეიცხადა მაკარამ და თავადაც გადანყვიტა, სევას წაჰყოლოდა.

ასე აღმოჩნდა 1904 წლის დეკემბერში ორი რაჭველი მეპატრონე პორტ-არტურში - შორეული აღმოსავლეთის უდიდეს ნავსადგურში, რომელიც ჩინეთში კი მდებარეობდა, მაგრამ რუსები აკონტროლებდნენ. რაჭველებს ხელფასს კი კარგად უხდიდნენ, მაგრამ ჯარში ერთი თვეც ვერ მოითავეს - 1904 წლის 20 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც პორტ-არტურის გარნიზონის ხელმძღვანელი, გენერალი

რომან კონდრატენკო დაიღუპა, მისმა შემცვლელმა - გენერალმა ანატოლი სტესელმა პორტ-არტურის უბრძოლველად ჩააბარა იაპონელებს. იაპონელმა გენერალმა ჰეიჰატირო ტოგომ ანატოლი სტესელი

თავისივე გარნიზონთან ერთად ტყვედ აიყვანა და იაპონიაში - ქალაქ ნაგასაკიში გადაგზავნა; იქ იყო რუს ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკი.

უნდა ითქვას, რომ პორტ-არტურის გარნიზონში იყო მესამე რაჭველი მზარეულიც - სპირიდონ (კეჭოუკა) გოცირიძე, რომელიც სევასა და მაკარასგან განსხვავებით, ჯარში და-

ლით იყო განვეული და გაუმართლა, როცა თანამემამულეებთან მოხვდა. სპირიდონმა პორტ-არტურის ჩაბარების შემდეგ, ჰეიჰატირო ტოგოს წინაშეც გამოიჩინა თავი - ორი მაგარი იაპონელი ძიუდოისტი შოთებივით გააკრა მინას, თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა. სპირიდონს ტყვეთა ბანაკში დიდხანს არც უცხოვრია - იგი მალევე გაცვალეს და საქართველოშიც მოახერხა დაბრუნება. სევა რეხვიამვილის ცოლსაც მანვე ჩაუტანა ბარათი, სადაც ოკრობოკრო ხელით ეწერა: *სევეჩიჯი ჩემო ჯეჩიკო! აგერ, კეჭოუკა ნთავისუფლებზე ჯე იმეს ვეტენ ამ ბანაკს, რომ გეგებელი კარგათ ვარ ჯე ქვე ისეთი ზეფერი მიჭირს არც მე ჯე არც ჩვენ მეზობელს მკეწის. ხეჯე იქონტები ამბობენ, ქვე ნურჯერის ჯეჯი გექვთო, თქვენც გეგნთავისუფლებთო. მიმიკითხე ყვეჯე. შენი ჯეკარგული ქმერი სევა“.*

ეს იყო პირველი და უკანასკნელი წერილი, რომელიც სევამ ომიდან მოიწერა. მისი ცოლი დარიკო სიცოცხლის ბოლომდე ელოდა ქმარს, თუმცა ისე გარდაიცვალა, რომ სევას ნახვა აღარ ღირსებია. იაპონელებმა რაჭველი მეპურეები ტყვეთა ბანაკიდან იმის გამო არ გაუშვეს, რომ ისინი გემრიელ პურს აცხობდნენ და მთელი ნაგასაკი მათთან დადიოდა საცხობში, რომელიც ტყვეთა ბანაკის უფროსმა - ოიამა მაბუნიმ მოაწყო და „რუსული პურის საჭაშნიკე“ უწოდა. რა თქმა უნდა, მთელ შემოსავალს ჯიბეში მაბუნი იდებდა, ხოლო სევას და მაკარას სასმელ-საჭმელი და ჩასაცმელ-დასახური ერგებოდათ. მალე, მაბუნი ოიამა ჩინეთში, ზღვისპირა ქალაქ დაირენში გადაიყვანეს - იმხანად მას იაპონია აკონტროლებდა და სევა და მაკარაც იძულებულნი გახდნენ, გაზულუქებულ იაპონელს თან გაჰყოლოდნენ.

მაბუნი ოიამამ დაირენშიც გახსნა ფურნე და ის-ის იყო, უზრუნველად ცხოვრებაც დააპირა, რომ სევამ ერთ დღეს მაკარას უთხრა: ბოჰო, ეს ოხერი



იქონელი ექ ჩვენით მჯიჯრებზე, თვითონ ქვე ფეხი ფეხზე ექვს გეჯეჯეჯეჯე, ჩვენ კი მონებივით ვეჯეჯე! რე ვეშვეჯლო ამ სექქეს?“ მაკარამ კარგა ხანს იფიქრა და უპასუხა: ქვე რე ჯე უნჯე გევიქტო, აბე სხვე რე ვქნათ?“ ასე გადანყვიტეს მეპურეებმა გაქცევა. მათ აღრევე კი იცოდნენ, რომ დაირენი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში - მანჯურიაში იყო, ამიტომაც სულ ჩრდილოეთით თუკი ივლიდნენ, რუსეთის იმპერიის საზღვარსაც მიაღწევდნენ. ეს ყველაფერი ძალზე ადვილი მოეჩვენათ; ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც, დაჰკრეს ფეხი და გაიქცნენ. ქუჩაში იაპონურ პატრულს კი გადაეყარნენ, მაგრამ აუხსნეს: ქალაქგარეთ ფქვილის საყიდლად მივდივართო. პატრულს ეჭვიც არ შეჰპარვია და გზაც კი მიასწავლა - ამა და ამ მიმართულებით წადითო. გულუბრყვილო რაჭველებმაც უცებ დაუფერეს და ჩრდილოეთის ნაცვლად სამხრეთით წავიდნენ. ჰოდა, იარეს, იარეს და მთავარ ნავსადგურს მიადგნენ, რომელიც ქალაქიდან 25 კილომეტრით იყო დაშორებული.

რაჭველები თავიანთ შეცდომას კი მიხვდნენ, მაგრამ უკან ვეღარ დაბრუნდებოდნენ და შეეცადნენ, ნავსადგურში ეპოვათ თავშესაფარიც და სამუშაოც. ნავსადგურში კი, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მტვირთავეები სჭირდებოდათ; სევასაც და მაკარასაც ძალ-ღონე არ აკლდათ და უცებ იშოვეს დროებითი სამუშაო - ერთ-ერთ ამერიკულ გემზე ფაიფურის ნაკეთობებით სავსე ყუთები უნდა დაეტვირთათ. მართლაც ბევრი იმუშავეს და ათი კაცის გასაკეთებელი საქმე თავად გააკეთეს: გემზე ყუთები ისე სწრაფად და ციმ-ციმ აარბენინეს, რომ კაპიტანს თავში მზაკვრულმა აზრმა გაუელვა: „მოდი, ამათ რომით კარგად გამოვართობ და თან ნავიყვან! გემზე საჭიროა ზორბა, გულუბრყვილო მეზღვაურები!“ - გაიფიქრა მან.

ამერიკელ კაპიტანს სევა და მაკარა რუსები ეგონა და იმედოვნებდა, რომ რომით ისინი უგონოდ

გაიღეშებოდნენ, თუმცა ასე არ მომხდარა - რაჭველებმა დინჯად სვეს კაპიტანთან ერთად და როცა ამ უკანასკნელმა აღიარა: აღარ შემიძლიაო, მხარზე ხელი მოუთათუნეს - თუ აღარ შეგიძლია, ნუღარ სვამ, შე კაცო, ისედაც მადლობელი ვართ, იაპონელებს რომ გამოგვარიდებო. ამასობაში კი, გემი ზღვაში გასულიყო და ამერიკისკენ მიცურავდა. სევამ და მაკარამ ჭამა-სმა სადღაც ჰავაის კუნძულების ახლოს შეწყვიტეს, კაპიტანს კი უკვე თავის კაიუტაში ეძინა, სიზმარშიც ორ ქართველ გოლიათს ხედავდა და უკვირდა, როგორ სვამდნენ ისინი ამდენს.

1905 წლის იანვარში, სევა რეხვიაშვილმა და მისმა მეგობარმა მაკარამ, რომლის გვარიც უცნობია, სან-ფრანცისკოს მიაღწიეს და ღვთის წყალობით, იქვე დაფუძნებაც მოახერხეს - იმ ამერიკელმა კაპიტანმა, რომელიც რაჭველებს გზაში დაუმეგობრდა და მათი დამონება აზრადაც აღარ მოსვლია, ორივენი ერთ რუსულ ფურნეში მოაწყობა. იქ ფული ბლომად იყო, მეგობრები ღამესაც ფურნეში ათევდნენ და კარგად ცხოვრობდნენ მანამ, სანამ ფურნეს პატრონი - ვინმე მისტერ პოლივანოვი არ გაკოტრდა: მას საკუთარ თავზე მეტად კაზინოში თამაში უყვარდა და ერთ დღესაც, ფორტუნამ მოურიდებლად აქცია ზურგი. მისტერ პოლივანოვმა ყველაფერი წააგო და ერთ დღეში მანანალად იქცა. ფურნეს ვიღაც ჰოლანდიელი დაეპატრონა, რომელსაც პურის ცხობისა არაფერი გაეგებოდა, ამიტომ იქ ყველაფერი მოშალა და იტალიური პიცერია გახსნა. სევამ და მაკარამ კი, რომლებიც ღია ცის ქვეშ დარჩნენ, საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტეს.

რაჭველ მეპურეებს სან-ფრანცისკოში უკვე ყველა იცნობდა და ჩანაფიქრი რომ აესრულებინათ, გავლენიან ნაცნობს - კონდიტერ ჯონათან ო-რეილის მიაკითხეს. მან ადრევე აღუთქვა რაჭველებს დახმარება და როცა ამის საშუალება მიეცა, ძალიანაც გაუხარდა: „სამშობლოში რა დაგრჩენიათ? მეც ირლანდიელი ვარ, მაგრამ ამერიკაში ფულის საშოვნელად ჩამოვედი და სანამ სანადელს არ მივაღწევ, უკან დაბრუნებაზე არ ვიფიქრებ... შევამხანაგდეთ და საქმე ერთად ვაკეთოთ!“ - შესთავაზა ო-რეილიმ. სევამ და მაკარამ მაშინვე უარყვეს თავიანთი ძველი ჩანაფიქრი და დათანხმდნენ.

ჯონათან ო-რეილიმ, სევა რეხვიაშვილმა და მაკარამ „ო-რეილი ენდ კომპანის“ სახელით, სან-ფრანცისკოში საკონდიტრო ფირმა ჩამოაყალიბეს და საქმესაც შეუდგნენ. სწორედ მაშინ შესთავაზა ო-რეილიმ რაჭველებს სახელებისა და გვარების გამოცვლა: „აქ ამერიკაა, თქვენ კი ისეთი გვარ-სახელები გაქვთ, ენას მოიტეხს კაცი. ჯობს, მე

დამიჯეროთ და ისეთი სახელები დაირქვათ, რომლებიც აქაურთა ყურებს უხეშად არ მოხვდება“ - ო-რეილი მართლს ამბობდა, რადგან იმ დროს - XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში, ამერიკული საზოგადოება უცხოელთა მიმართ შედარებით ნაკლებ შემწყნარებლობას იჩენდა, განსაკუთრებით კი კალიფორნიის შტატში.

რამდენადაც რაჭველები გარეგნობით უფრო ლათინოსებს ჰგავდნენ, სევა რეხვიაშვილი სებასტიან როხასი გახდა, მაკარა კი მაკარიო დელ ტორო. შესაბამისად, ფირმას, რომელიც მათ ო-რეილისთან ერთად ჩამოაყალიბეს, „ო-რეილი, როხასი და დელ ტორო“ დაერქვა და ყველაფერი უცებ მოგვარდა - ფირმას საზღვარგარეთ ვაჭრობის ნება დართეს. ო-რეილის ადრევე სურდა ეს და ნებართვა როგორც კი მიიღო, მაშინვე გაენდო რაჭველებს: „მექსიკაში სიმინდის ფქვილისაგან თხელ ნამცხვარს ამზადებენ - „ტორტილია“ ჰქვია... მისი გამოცხობის ტექნოლოგია ჩვენ უნდა ავითვისოთ და მექსიკის ბაზარზე გავიდეო!“ არც სევამ და არც მაკარამ არ იცოდნენ, რომ „ტორტილია“ ჩვეულებრივ მჭადს ერქვა.

ჯონათან ო-რეილიმ, იმისთვის რომ რაჭველებისთვის ტორტილიას რაობა აეხსნა, ორივენი სან-დიეგოში, მექსიკურ რესტორანში დაპატიჟა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა ტორტილიების დანახვაზე სევას და მაკარას თვალები გაუბრწყინდათ და მერე კი ცრემლიც კი მოადგათ: „ამას ბოშო, ჩვენს სამშობლოში მჭადი ჰქვია!“ - თქვა სევამ. მაკარამ კი პირდაღებულ ჯონათანს აუხსნა - ამას ჩვენს სამშობლოში ყველთან ერთად ჭამენ და უთხარი ოფიციალტს, ყველი მოგვიტანოსო. ჯონათანმა ოფიციალტს მართლაც უხმო და უცებ, თავში მეტად საინტერესო იდეა მოუვიდა: „რა იქნება, ყველიანი ტორტილიები რომ გამოვაცხოთ და მექსიკაში გავყიდოთ? იქ ტორტილიებს ყველთან ერთად არ ჭამენ, მაგრამ მოენონებათ!“ - უთხრა სევას და მაკარას.

ასე აღმოჩნდნენ რაჭველი მეპურეები მექსიკაში 1910 წელს. იმხანად, იქ რევოლუცია მძვინვარებდა - ხალხი გაზულუქებულ დიქტატორ პორფირო დიასს ებრძოდა. ის 1876 წლიდან იდგა ქვეყნის სათავეში და როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდა და მიწა - ქალამნად. არეულობის მიუხედავად, ჯონათან ო-რეილიმ გადაწყვიტა, გაერისკა და 1910 წელს, ქვემო კალიფორნიის (მექსიკის შტატი) ქალაქ სანტა-ფე-დე-მეხიკალიში გახსნა საცხობი „ჯერ არნახული ყველიანი ტორტილიები“. ხსენებული მექსიკური ქალაქი აშშ-ის საზღვარზე მდებარეობდა, სან-დიეგოდან ორი საათის სავალზე.

მექსიკელები მართლაც მჭადის დიდად მოყვარული ხალხი გამოდგა - მეგობრების ბიზნესი სწრაფად წავიდა წინ. სევამ და მაკარამ ბლომად ფულიც კი მოაგროვეს უკან დასაბრუნებლად, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა იმედოვნებდნენ, ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნებაო, სანტა-ფე-დე-მეხიკალი მექსიკელი რევოლუციონერების ჩრდილოეთის დაჯგუფების ლიდერმა, საყოველთაოდ ცნობილმა ფრანსისკო (პანჩო) ვილიამ სამი დღით, საძარცვავად გადასცა თავის მებრძოლებს.

ვერაკრუსის ნავსადგურის პოლიციის განყოფილებაზე თავდასხმისას დახოცილები. მარცხნივ, უღვაშებით — მაკარა. ეს რაჭველი მეპურის ერთადერთი ფოტოპანჩო ვილიას მებრძოლები წესრიგით სულაც არ გამოირჩეოდნენ - ისინი გლეხები იყვნენ და არა სამხედროები. ამიტომაც „ჯერ არნახულ ყველიან ტორტილებში“ კარგად მოილხინეს, მერე ყველაფერი დალენეს და სევამ რეხვიაშვილს მედიდურად მოსთხოვეს: რაც ფული გაქვს, ჩაგვითვალე და წავალთო. უწყინარმა რაჭველმა წარბი შეიჭმუხნა და ერთ-ერთ მებრძოლს შეკითხვა ინგლისურად გადაათარგმნინა. ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე ასე უპასუხა: საიდანაც მოსულხართ, იქით წადით, თორემ არც მე ვარ აქ ჯაბანიო და მეგობრებს უხმო.

სევამ დაძახებაზე სამზარეულოდან მაკარა გამოიჭრა დიდი დანით ხელში, ხოლო ჯონათან ო-რეილიმ სათადარიგო გასასვლელით გააღწია ქუჩაში და თავს უშველა. ორი რაჭველი ღვთის ანაბარად დარჩა ტეკილით გამობრუყულ მექსიკელ რევოლუციონერთა პირისპირ. ერთი სიტყვით, ის-ის იყო, ჩხუბი უნდა გახურებულიყო, რომ საცხობის კარი თვით პანჩო ვილიამ შემოაღო - მას თურმე, ჯონათან ო-რეილი იცნობდა და იცოდა, რომ მებრძოლთა შეჩერებას შეძლებდა. პანჩო ვილიამ მართლაც შეაჩერა მებრძოლები, ყველიანი ტორტილებიც გასინჯა, მილენილ ავეჯს თანაგრძნობით გადახედა, ჯიბიდან ფული ამოიღო და რაჭველებს დიდი ბოდიშიც მოუხადა. მერე ყველანი ერთად, იქვე დიდ მაგიდას მიუსხდნენ და მექსიკელ რევოლუციონერთა ბელადმა სევამ და მაკარას თავგადასავალიც მოისმინა.

სრულიად მოულოდნელად, პანჩო ვილიამ თავი გამოიღო: თუ მართლა სამშობლოში დაბრუნება გინდათ, მე ჩაგიყვანთ ნავსადგურ ვერაკრუსში და იქ კი რომელიმე რუსულ გემში ჩაგვამთო. ჯონათან ო-რეილიმ რაჭველებს თვალი კი უყო - არ დათანხმდეთო, მაგრამ სევამ და მაკარამ მაინც დათანხმდნენ. იმ საღამოსვე მოკრიბეს, რაც კი რაიმე ჰქონდათ და მეორე დღეს, დილით ადრე, პანჩო ვილიას კაცს ვერაკრუსში გაჰყვინენ.

ამერიკის საზღვრიდან ვერაკრუსამდე დიდი მანძილია და რაჭველები გზას ორი კვირამოუნდნენ. სამწუხაროდ, ცნობილი არაა, თუ რა გადახდათ მათ რევოლუციისგან გაჩანაგებული მექსიკის გზებზე, მაგრამ არსებობს რუსული სავაჭრო ხომალდის, „დევა მარიას“ ჟურნალის ჩანაწერი, რომელიც გვამცნობს, რომ მექსიკის ჩრდილოეთის არმიის მებრძოლმა, ვინმე ანტონიო დე გარსიამ 1910 წლის 4 დეკემბერს ხომალდზე აიყვანა 2 პიროვნება, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები იყვნენ და სამშობლოში დაბრუნება სურდათ. ჟურნალში სევამ გვარად „რეხვიაშვილია“ ჩანერილი, ხოლო მაკარას „სიკილტაძევი“ უწერია. სევამ და მაკარამ კაპიტანმა, ბენიამინ ივანოვმა, ხომალდზე ვერ აიყვანა - რაჭველებს რუსული პასპორტები არ ჰქონდათ, ამერიკულში კი სხვა გვარები ეწერათ.

სევამ და მაკარამ ის ღამე ვერაკრუსის ნავსადგურში, პოლიციის განყოფილებაში გაატარეს. დილაადრიან კი ვერაკრუსის სამხრეთმექსიკელ მემბოხეთა არმია დაესხა თავს, ემილიანო საპატას მეთაურობით და ორ საათში აიღო. პოლიციის განყოფილება, სადაც რაჭველები ათევდნენ ღამეს, მემბოხეთა რაზმმა დაცხრილა - მათ თავიანთი, ადრე დაპატიმრებული ამხანაგის დახსნა სურდათ. ორმხრივი სროლისას, სევამ ოთხი ტყვია მოხვდა, მაკარას - სამი. მაკარა ადგილზევე გარდაიცვალა, სევამ მძიმედ დაიჭრა.

ცალად დარჩენილი რაჭველი მეპურე გონს რუსულმა საუბარმა მოიყვანა - სევამ ვერაკრუსის რუსული ეკლესიის მღვდლის, მამა პავლე კონდრატენკოს ოჯახში აღმოჩნდა. თურმე პოლიციელებს, რომლებსაც რაჭველი მეპურეები რუსები ეგონათ, დალუპული მაკარაც და მძიმედ დაჭრილი სევაც მასთან მიეყვანათ. სევამ სამი-ოთხი დღე უგონოდ ყოფილიყო, ამასობაში კი მამა პავლეს მაკარა ეკლესიის ეზოში დაეკრძალა.

იმ დღიდან, სევამ საცხოვრებლად მამა პავლესთან დარჩა და ჯერ დიაკვნად, მერე კი მღვდლად ეკურთხა, მამა სებასტიანის სახელით. 20 წლის განმავლობაში წირავდა ვერაკრუსის რუსულ ეკლესიაში. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე - 1961 წელს, სევამ რეხვიაშვილმა რუსულ ენაზე დანერა ბიოგრაფია, რომელიც ამჟამადც მამა პავლეს შვილიშვილის - ონფიმ კონდრატენკო-რეიესის ბიბლიოთეკაში ინახება. სწორედ ონფიმ კონდრატენკომ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა და სევას შთამომავლებთან (მას აქ შვილი დარჩა) დაკავშირება.

მისიელ ლაბაძე

გზა, რომელიც გიორგი ინასარიძის სახელს უჩაპხირდება

საქართველოში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ტიტულებით ან წლების მანძილზე დაგროვილი ქონებით კი არა, წინაპრებით ამაყობენ. ბევრ გვარს მიუძღვის დიდი ღვანლი ქვეყნისა და ერის წინაშე.

ყოველ შაბათს ლოცავს ქართულ საგვარეულოებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ყველაზე უკეთ უწმინდესმა უწყის, რომ გამორჩეული წინაპრების კეთილად მოხსენიება და მათი ღვანლის აღნიშვნა ახალგაზრდებს მამულიშვილური და საქვეყნო საქმის კეთების სურვილს აღუძრავს. ქართულ გვარებს შორის ინასარიძე ერთ-ერთი გამორჩეულია. ამ გვარის შესახებ საინტერესო ცნობები მოგვანოდა ქალბატონმა ია მშვენიერაძემ. ჩვენი სტუმარი იხსენებს თავისი დედის, ნინო ინასარიძის წინაპრებს, რომლებმაც მართლაც ღირსეული კვალი დატოვეს.

ინასარიძეების გვარის ერთ-ერთ ღირსეულ და სახელოვან წარმომადგენელს, სამსონ სოფრომის ძე ინასარიძეს, დიდი წვლილი მიუძღვის სასტამბო-საგამომცემლო და სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სამსონი წარმომადგენელია „ახალი თაობისა“, რომელსაც ქართველი საზოგადოება „თერგდალეულებს“ უწოდებდა. ის გვერდით ედგა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ივანე მაჩაბელს, ნიკო ნიკოლაძეს, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, ალექსანდრე ჯაბადარს და სხვებს. სამსონ ინასარიძემ გადამწყვიტა საუკეთესო ქართველი მწერლების თხზულებათა ბეჭდვა და შექმნა გამომცემლობა „ამხანაგობა“. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე გაიხსნა წიგნების პატარა მაღაზია, რომელიც ამ გამომცემლობის წყალობით სავსე იყო ქართველ მწერალთა წიგნებით.

სამსონი ალექსანდრე ყაზბეგთან მეგობრობდა. „ამხანაგობა“ ყაზბეგის „ელგუჯას“ ბეჭდავდა. მოთხრობის თავდაპირველ ვარიანტში მთავარი გმირი იღუპებოდა. გულდანყვებილ სტამბის მუშებს უთხოვიათ გამომცემლისთვის, მწერალს



ურჩიეთ, არ მოკლას ელგუჯა, რომანი გააგრძელოსო... სამსონის სიტყვამ გაჭრა და „ელგუჯას“ მეორე, არანაკლებ საინტერესო ნაწილი დაემატა.

სამსონ ინასარიძემ ღირსეული ქართული ოჯახი შექმნა და ხუთი საუკეთესო შვილი აღუზარდა საქართველოს.

შვილებიდან ყველაზე გამორჩეული გახლდათ ცნობილი ქირურგი-ტრავმატოლოგი გიორგი ინასარიძე. მისი ცხოვრება სავსეა საინტერესო მოვლენებით, მაგრამ მხოლოდ ორიოდ ეპიზოდს გაგაცნობთ.

1941-45 წლებში (ომის დანებებისთანავე) გიორგი სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა ქირურგ-ტრავმატოლოგად. ვინ იცის, რამდენი მძიმე ოპერაცია გააკეთა ბომბებისა და ტყვიამფრქვევების გრიალში. საოპერაციო მაგიდასთან მის გვერდით იდგა თამარ გოთუა, ცნობილი მწერლის, ლევან გოთუას და. გერმანელებთან ერთ-ერთი დიდი შეტაკების დროს მთელ სამხედრო ჰოსპიტალს უკან უნდა დაეხია. ჰოსპიტალში რამდენიმე ასეული დაჭრილი იყო. გიორგიმ, როგორც იქნა, მედპერსონალი ავადმყოფებიანად, სამშვიდობოს გაისტუმრა, თვითონ კი ბოლო შემორჩა ცეცხლის ხაზზე. ხმელეთით შეუძლებელი იყო თავისიანებამდე მიღწევა, ამიტომ გაუგონარი რისკი გასწია - გაბერილი კამერით სასწაულებრივად გადაცურა ქერჩის სრუტე და გელენჯიკში შეუერთდა სამხედრო ჰოსპიტალს, რომელსაც ხშირად სტუმრობდა კონსტანტინე ლესელიძე - მე-18 არმიის სარდალი აქ დაჭრილების მოსანახულებლად დადიოდა. 1944 წლის იანვრიდან მე-18 არმია უკვე უკრაინის ფრონტის შემადგენლობაში გადავიდა, ცხადია, ჰოსპიტალთან ერთად. გიორგი ინასარიძე არმიის მთავარმა ქირურგმა ტრეტიაკოვმა მოსკოვში გააყოლა მძიმედ დაჭრილ გენერალ ლესელიძეს. კრემლის საავადმყოფოში გენერალს გვერდიდან არ მოშორებია თანამემამულე ექიმი. ბოლოს, სარდალმა თავად სთხოვა, - აწი არა მიშავს, სხვები მომხედავენ, შენ კი დაბრუნდი საქართველოში

და ჩემს მეუღლეს ეს წერილი გადაეცეო და ხელში კონვერტი მიაჩერა. გიორგიმ თბილისში შეიტყო ლესელიძის გარდაცვალების ამბავი.

სხვათა შორის, გიორგი ინასარიძის ოჯახს ერთხანს თავს აფარებდა მწერალი ლევან გოთუა. იგი ინასარიძეებთან არა მარტო დაცულად გრძნობდა თავს, შემოქმედებითი მუშაობისთვისაც ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი...

ბევრს აღარას გეტყვით იმ ღვანლზე, რაც გიორგი ინასარიძეს მიუძღვის სამედიცინო სფეროში. ისიც საკმარისია გასახსენებლად, როგორ შეუწყო მან ხელი ორთოპედიის განვითარებას, შექმნა სისხლის წვეთოვანი გადასხმის ახალი აპარატი, უცხო სხეულების აღმოსაჩენი და ამოსაღები ხელსაწყო, დაამუშავა რეზინის ხელთათმანების ცივი სტერილიზაციის მეთოდი...

გიორგი ინასარიძე და მერაბ ვაჩნაძე (ცნობილი კინოვარსკვლავის, ნატო ვაჩნაძის პირველი მეუღლე) მეგობრები იყვნენ, მერაბიც ექიმი გახლდათ. გარდა საერთო საქმისა, რომელიც

ორივეს ძალიან უყვარდა, ერთნაირი თვისებებიც ჰქონდათ - ალაღად, უანგაროდ შეეძლოთ ადამიანის სამსახური. მერაბ ვაჩნაძე ნატოსთან განშორების შემდეგ ისეთ სასონარკვეთილებაში ჩავარდა, რომ არა გიორგი, ალბათ სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებდა. გიორგი წუთით არ მოშორებია მერაბს. უმძიმესი დღეების შემდეგ, როცა დარდი ცოტათი გაუწელდა, მერაბმა ერთგულ მეგობარს უსახსოვრა სანწერი მაგიდა თავისი მონყობილობით.

რაჭველები დღემდე ეხადლიერებინან თავისი კუთხის შვილს - ზემო კრიხელაში მუდამ უჩიოდნენ უზოგოვას, ვინაშნ კლდოვანი ბილიკებით უხდაბოდათ სიარული და ტვირთის გადაზიდვა... გიორგი ინასარიძის თავკაცობით სოფელში სამანქანო გზა გააკეთდა.

ასეთი მაღლიანი და ნათელი გზით ევლოს ყველა ქართველს.

მარინა გაბუნაშვილი



საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი ლარიბაშვილს
ენერგეტიკის მინისტრს,
ვიცე-პრემიერს ბატონ კახი კალაძეს,
რაჭა-ლეჩხუმის
და ქვემო სვანეთის გუბერნატორს
ბატონ პაპუნა მარგველიძეს

ბატონებო!

მოგესალმებით, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ მწაჯვარძლის მკვიდრნი, სხიწლაძეები და იობაშვილები.

წოდებით მოგესხებებით, სოფელი მწაჯვარძალი აწინ აღაქმნი ზონის დასახლება. წოდებით საქართველოში ზღვის დონიდან სოფ. უშგულის შემდეგ მეორე ადგილზეა (1800მ).

სოფელში აღიგებელია მწაჯვარძლის წმინდა გიორგის მოქმედი სალოცავი, ამჟამად სოფელში სამთონის პერიოდში წიგნა ოთხი ოჯახი, რომელთა დამსახურება ქვეყნისთვის გმინობის ცოცხალია, რის გამოც იმსახურებენ ღირს პატივისცემას.

ბატონებო!

გთხოვთ გამოიჩინოთ კეთილი ნება და უნთ-უნთ შეგაუთარ სამთონის პერიოდში ამ ოჯახებს მონმარებელი ეკუთვნოდეს უნთ-უნთ საფასური ან დააქინოთ.

ასევე შეგახსენებთ, რაჭის ქალაქებში ონსა და ამბროლაურში წლების განმავლობაში აწინებობს საერთო საწვებლოების აბანოები, რაც უნაწინაურ კრიტიკას ვერ უძლებს დღევანდელ დღეს.

სოფელ მწაჯვარძლის მკვიდრთა სახელით.

რეზო სხიწლაძე

რა წვლილი მიუძღვის ალგობიკელ კაჭველებს „ფინეთის სამთავრო ბანკის გაქცევაში“

1904 წლის იანვრიდან, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, სანქტ-პეტერბურგის წელში გასატყუარებელი ტოკიოს დაზვერვა მთელი დატვირთვით ამოქმედდა. იაპონელებმა გადაწყვიტეს, რომ რაღაც უნდა დასჯდოდნენ, რუსეთში ეკონომიკურ-სოციალური კრიზისის გამოწვევის გზით, ვითარება უკიდურესად დაეძაბათ და სხვათა შორის, მალე მიზანსაც მიაღწიეს.

უკვე 1904 წლის ნოემბრის დამლევს, რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე „რევოლუციური აქტიურობის“ პირველი ნიშნები გამოჩნდა, რამაც რუსული არმიის ზურგი მნიშვნელოვანწილად შეასუსტა. ცხადია, ეს საბრძოლო მოქმედებებზეც აისახა და იაპონურმა არმიამ რუსებს თითქმის ყველა ფრონტზე უკან დაახევინა.

იმავე წლის დეკემბერში, სანქტ-პეტერბურგში ბაზირებულმა იაპონელმა აგენტებმა შეიტყვეს, რომ ომის გაგრძელებისათვის საჭირო თანხა - 5 მილიონი მანეთი ოქროთი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ფინეთის სამთავროს დედაქალაქში, ჰელსინკიში მდებარე „სამთავრო ბანკში“ ინახებოდა. ჰელსინკი მაშინ ერთი პატარა, პროვინციული ქალაქი იყო და აგენტურის მიერ მოპოვებული, უტყუარი მტკიცებულებანი რომ არა, იაპონური საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი, იაპონიის სტოკჰოლმელი სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი მოტოჯირო აკაში ვერც კი იფიქრებდა, თუ იქ თვითმპყრობელი იმპერატორი საკუთარი ხაზინის მნიშვნელოვან რეზერვს მალავდა. იაპონელებმა ისიც დაადგინეს, რომ ფინეთის სამთავრო ბანკი უმაღლეს დონეზე იყო დაცული - მას 24 საათის განმავლობაში კაზაკების სამი ბრიგადა სდარაჯობდა.

ფინეთის სამთავრო ბანკიდან რუსეთის იმპერიის ხაზინის რეზერვის გატაცების იდეა პოლკოვნიკ მოტოჯირო აკაშის ცნობილმა ფინელმა რევოლუციონერმა და ანარქო-სოციალისტმა, კონრად ცილიაკუსმა მიაწოდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1904 წლის აგვისტო-სექტემბერში,



ცილიაკუსი იაპონიის დაზვერვის ორგანიზებული, გახმაურებული „ჯონ გრაფტონის საქმის“ ერთ-ერთი მოთავე იყო (ცნობილ ქართველ ანარქისტ ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად) და ლონდონიდან რუსეთის იმპერიაში იარაღის სოლიდური პარტიის გადაზიდვას კურირებდა. რუსულმა კონტრდაზვერვამ და ჟანდარმერიამ მაშინ სრული კრაზი განიცადა და საპასუხო ზომების მიღება ვერ მოასწრო, რის შედეგადაც რუსეთის იმპერიის რევოლუციური პარტიები გვარიანად შეიარაღდნენ და სამთავრობო ძალებს საკმაოდ სერიოზული თავსატეხიც გაუჩინეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონრად ცილიაკუსს „ბანკის გატანის“ საქმეში თავისი უპირველესი თანამოაზრისა და მასწავლებლის - იმხანად ლონდონში მცხოვრები ცნობილი ქართველი ანარქისტის, ვარლამ ჩერქეზიშვილის დახმარების დიდი იმედი ჰქონდა. ჩერქეზიშვილს, რასაკვირველია, პოლკოვნიკი აკაშიც კარგად იცნობდა და კონრად ცილიაკუსს დაფინანსებაზე უარი არ უთხრა: „გააცანით თქვენი აზრები ბატონ ვარლამს და თუ დაგთანხმდათ, ოპერაციისთვის საჭირო თანხას უყოყმანოდ გავიღებთ“, - ასეთი იყო მისი პოზიცია. კონრად ცილიაკუსსაც დრო

ალარ დაუკარგავს, მაშინვე გაემგზავრა თბილისში, სადაც იმ დროისთვის ვარლამ ჩერქეზიშვილი იმყოფებოდა. ფინელ ანარქო-სოციალისტს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ „ბანკის გატანის“ მისეული გეგმა ქართველ რევოლუციონერებს ნამდვილად დააინტერესებდა: „ექსპროპრიაციის მოწყობასა და სხვა მსგავს საქმეებში ქართველებს ბადალი არ ჰყავდათ... 1905-1907 წლებში რუსულ მმართველობას არსად ისეთი ზიანი არ მისდგომია, როგორც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში - კაზაკები, ჩვეულებისამებრ, სამხედრო სამსახურის იქ მოხდას თავს ყველა საშუალების გამოყენებით არიდებდნენ, მაშინ, როცა ომში, იაპონიის ფრონტზე, დიდი სიხარულით გარბოდნენ“, - ისხენებდა მოგვიანებით კონრად ცილიაკუსი.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა ფინელი სტუმარი,

ქართული წესით, ხელგაშლილად მიიღო, ყურადღებით მოუსმინა და, სრულიად მოულოდნელად, წარმოუდგენელი რამ შესთავაზა: „აქცია უსისხლოდ უნდა ჩატარდეს... ხუთი მილიონი - ოქროთი ძალიან დიდი თანხაა; მის ხელში ჩასაგდებად ჩვენ რომ თოფი გავისროლოთ, საპასუხოდ ზარბაზანს გვესვრიან და ყველაფერი ჩაფლავდება“, - უთხრა მან ცილიაკუსს. ეს უკანასკნელი კი გაოცდა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, რადგან ჩერქეზიშვილმა დაწვრილებით



აუხსნა, თუ როგორ უნდა „გაეტანათ ბანკი“ გასროლის გარეშე: „შობადღემდე მოცდა კი მოგვიწევს, თუმცა ეს ელირება, რადგანაც საქმე მეტად მნიშვნელოვანია“, - დასძინა ვარლამ ჩერქეზიშვილმა და მერე დაინტერესდა, წარმატების შემთხვევაში, ხუთი მილიონი როგორ უნდა გაეყოთ.

„50 პროცენტს იაპონელები წაიღებენ, ჩვენ კი 25-25 პროცენტი დაგვრჩება“, - უპასუხა ცილიაკუსმა. ჩერქეზიშვილი კმაყოფილი დარჩა და სტუმარს აღუთქვა, რომ შობისწინა დღეებში მასთან, ჰელსინკიში, ქართველი „სპეციალისტები“ ჩავიდოდნენ.

დაიმედებული კონრად ცილიაკუსი უკანვე გაბრუნდა, ვარლამ ჩერქეზიშვილს კი დრო აღარ დაუკარგავს - სანდო ხალხის დახმარებით, იმხანად ბაქოში მყოფ, ცნობილ ქართველ ავანტიურისტს, სოლომონ აშორდიას დაუკავშირდა, რომელიც ამჟამინდელი აზერბაიჯანის დედაქალაქში ჯამბატოვის გვარით ცხოვრობდა. რევოლუციონერები მას დახმარებისთვის ხშირად მიმართავდნენ და აშორდიაც სიამოვნებით უმართავდა ხელს - ის პატრიოტი კაცი იყო და მიაჩნდა, რომ სამშობლოს გათავისუფლებისთვის ისე იბრძოდა, როგორც შეეძლო. წარგზავნილთა პირით, ვარლამ ჩერქეზიშვილმა სოლომონ აშორდიას რამდენიმე ყალბი საბუთის შედგენა სთხოვა და კარგი გასამრჯელოც აღუთქვა; ამ უკანასკნელმა კი ფულის აღებაზე დიდსულოვნად თქვა უარი: „ასეთ მცირე საქმეზე აბა, ფული როგორ მოვიტხოვო? კაცურად დაგეხმარებით!“ - შეუთვალა ჩერქეზიშვილს და მცირე ხანში, საჭირო საბუთებიც აახლა. ყოველი მათგანი ისე იყო დამზადებული, რომ ნამდვილისგან ვერავინ გაარჩევდა.

ამასობაში კი ჰელსინკიში კონრად ცილიაკუსმა და მისმა თანამოაზრეებმა კარგად შეისწავლეს

ფინეთის სამთავრო ბანკის მუშაობის განრიგი და 1904 წლის 20 დეკემბერს კავკასიის სამეფისნაცვლოდან ჩამოსულ „სპეციალისტებს“ - ბესო სვანიძეს, აფრასიონ ჩიხრაძეს და პავლე გოცირიძეს მომზადებულნი დახვდნენ. სამივე ქართველი სტუმარი ჩერქეზიშვილის მიერ დაარსებული სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი იყო; ბესო სვანიძე თბილისში ცხოვრობდა, ხოლო აფრასიონ ჩიხრაძე და პავლე გოცირიძე კი ჩრდილო კავკასიაში, ალაგირში დასახლებული რაჭველები იყვნენ.

შემდგომში კონრად ცილიაკუსი იგონებდა, რომ ჩამოსულები უზადო გარეგნობითა და არისტოკრატიული მანერებით გამოირჩეოდნენ, ხოლო ბესო სვანიძე უაქცენტოდ საუბრობდა არა მარტო რუსულად, არამედ ფრანგულადაც კი. „ბანკის გატანის“ ოპერაციასაც სწორედ იგი ხელმძღვანელობდა.

**ბესო სვანიძე
ბანკის გატანის
ოპერაციას
ხელმძღვანელობდა**

1904 წლის 21 დეკემბერს, მაღალჩინოსან სახელმწიფო მოხელედ გადაცმული ბესო სვანიძე ფინეთის სამთავრო ბანკის იმჟამინდელ ხელმძღვანელს, სენატორ კარლ თეოდორ ალექსანდრ ვეგელიუსს წარუდგა და აცნობა, რომ სანქტ-პეტერბურგიდან ზესაიდუმლო დავალებით იყო წარმოგზავნილი; სვანიძემ ბანკის ხელმძღვანელს იმპერატორის ბეჭდით და ხელმოწერით დამონმებული დოკუმენტიც წარუდგინა, რომლის თანახმადაც რუსეთის სახელმწიფო ხაზინის რეზერვების შემონმების უფლება ენიჭებოდა. ვეგელიუსმა ხმაც ველარ ამოიღო, რადგან აშორდიას ნახელავი „დოკუმენტის“ სიყალბის შეტყობა ძალზე ძნელი იყო და სტუმარს საიდუმლო საცავისკენ, როგორც წესი, თავადვე წარუძღვა. იმ დღეს ბესო სვანიძემ არა მარტო ხაზინის რეზერვები დაათვალიერა, არამედ კანალიზაცია და წყალგაყვანილობაც საფუძვლიანად შეამოწმა, ბანკის თანამშრომლებს ყველაფერი შესაბამისი ოქმით გააფორმებინა, მერე ვეგელიუსს „სამივლინებო ფურცელზე“ ხელი მოაწერინა, გულითადად გამოემშვიდობა და წამოვიდა.

მეორე დღეს, ბესო სვანიძემ ბანკის საცავების დეტალური სქემა დახაზა, თან კონრად ცილიაკუსსა და მის თანამოაზრეებს საკუთარი ჩანაფიქრი გააცნო - ბანკიდან ხაზინის რეზერვის გამოსატანად გვირაბი უნდა გაეთხარათ, თუმცა ეს საკმარისი არ იქნებოდა: „ხაზინის რეზერვები

ნამდვილ ცხრაკლიტულში ინახება და ცხადია, იქ შელწევაც ძალზე ძნელია; მაგრამ თუკი ბანკის თანამშრომელთაგან ვინმეს მოვისყიდით, საქმე უფრო გაგვიადვილდება”, - უთხრა სვანიძემ ცილიაკუსს. იმავდროულად, აფრასიონ ჩიხრაძესა და პავლე გოცირიძეს ბანკის უკან მდებარე შენობის სარდაფის სასწრაფოდ დაქირავება უბრძანა. ეს შენობა, რომელშიც პროტესტანტული საკვირაო სკოლა იყო განთავსებული, ერთ-ერთ ადგილობრივ, შვედ საქმოსანს ეკუთვნოდა. ქართველებმა მისი სარდაფი 1904 წლის 22 დეკემბერს, ვითომდა პურის საცხობის მოსაწყობად იქირავეს.

ამავდროულად, ცილიაკუსის ხალხმა ბანკის ერთ-ერთი მოლარის, ვინმე იან ფილიპ კუუსინენის მოსყიდვა მოახერხა; როგორც შემდგომში კონრად ცილიაკუსი იხსენებდა, კუუსინენი აზარტული მოთამაშე იყო და იატაკქვეშა სამორინეებს ხშირად სტუმრობდა. ფინელი „ანარქისტები“ (იმხანად რუსეთის იმპერიაში ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებს ასე უწოდებდნენ) მას დაემუქრნენ, რომ თუ დახმარებაზე უარს იტყოდა, ყველაფერს ბანკის ხელმძღვანელს, კარლ თეოდორ ვეგელიუსს მოახსენებდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, კუუსინენი გატყდა და ცილიაკუსის ხალხს ყველაფერში ხელის შეწყობა აღუთქვა: „ის დაგვირდა, რომ რასაც კი ვეცოდით, შეასრულებდა; თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ შემდეგ ბანკშიმუშაობას ვეღარგააგრძელებდა, გვთხოვა, რომ შვეციაში გადასვლაში დავხმარებოდით. რასაკვირველია, ჩვენ დავთანხმდით“ - წერდა შემდგომში კონრად ცილიაკუსი.

ვიდრე აფრასიონ ჩიხრაძე და პავლე გოცირიძე ნაქირავები სარდაფიდან ბანკამდე გვირაბის გათხრით იყვნენ დაკავებულნი (კონსპირაციისათვის, ისინი ამბობდნენ, რომ სარდაფს მხოლოდ არემონტებდნენ), ბესო სვანიძემ და კონრად ცილიაკუსმა კიდევ ერთი მანიპულაცია განახორციელეს - სვანიძეს ხელთ სოლომონ აშორდიას მიერ დამზადებული, რუსეთის სამხედრო სამინისტროს გერბიანი ქალაქი ჰქონდა, კონრად ცილიაკუსმა კი „უნდერვუდის“ ფირმის საბეჭდი მანქანა იშოვა, რომლითაც იმხანად რუსეთის იმპერიის ოფიციალური დანესებულებები სარგებლობდნენ და გერბიან ქალაქზე რუსულად ვითომდა მინისტრ ვიქტორ სახაროვის საიდუმლო ბრძანება ამობეჭდა: „რადგანაც სამხედრო ნაწილებს დღეს დიდი ჯაფა აწევთ ერთი მხრივ იაპონურ არმიასთან, მეორე მხრივ კი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო

არასამხედრო ობიექტთა დაცვაში მათი გამოყენება მეტად აბრკოლებს ჯარისკაცთა სულისკვეთების ამაღლებას, ვბრძანებ, რომ ფინეთის სამთავრო ბანკიდან სამხედრო დაცვა დაუყოვნებლივ მოიხსნას, ხოლო გენერალ-გუბერნატორს კი დაევალოს, საკუთარი საშუალებით დაიცვას ობიექტი, ვიდრე ახალ განკარგულებამდე“. დოკუმენტს მინისტრის ხელმოწერაც ამშვენებდა - კონრად ცილიაკუსმა მისი კოპირება ჩვეულებრივი, ასლის გადასაღები ქალაქით მოახდინა.

ზარესსაქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ბრძანება საიდუმლო იყო და ცხადია, მისი ფოსტით გაგზავნა არ შეიძლებოდა. ამიტომ, კაზაკურ ჩოხაში გამონყობილმა ბესო სვანიძემ გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციაში, 1904 წლის 23 დეკემბერს, ის თავად მიიტანა, გენერალ-გუბერნატორს პირადად გადასცა და უკან გამობრუნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უკანასკნელს ეჭვიც არ შეჰპარვია იმაში, რომ „სამხედრო სამინისტროს შიკრიკი“ თვითმარქვია არ იყო - სოლომონ აშორდიას მიერ დამზადებული, შესაბამისი მონომობის სიყალბე ვერავინ შენიშნა. რასაკვირველია, ბრძანება იმ დღესვე აღესრულა - გენერალ-გუბერნატორმა ბანკს სამხედრო დაცვა მოხსნა და მის მაგივრად პოლიციელთა ოცეული მიუჩინა. გარდა ამისა, ბანკის მოლარეებს ტაბელური იარაღი დაურიგდათ და ცვლიანი მორიგეობაც დაუნესდათ. ხაზინის რეზერვის საცავის გასაღები, რომელსაც მანამდე ვეგელიუსი ყოველი სამუშაო დღის ბოლოს სამხედრო დაცვის უფროსს აბარებდა, ახლა მორიგეთა ცვლის უფროსს ჩაჰბარდა, რამაც წყალი სვანიძისა და ცილიაკუსის ნისქვილზე დაასხა - მათ იან ფილიპ კუუსინენს სასწრაფოდ მოსთხოვეს, რომ შობის ღამეს, მორიგეთა ცვლის უფროსობა ეტვირთა. ამავდროულად, კუუსინენს სხვა მორიგე მოლარეები უნდა დაეთრო და გვირაბიდან ბანკში შელწეული მძარცველებისათვისაც საცავის კარი დროზე გაეღო. ერთი სიტყვით, ყველაფერი დეტალურად დაიგეგმა.

ბესო სვანიძის მიერ შედგენილი სქემის თანახმად, გვირაბი ბანკის საქვაბეში უნდა გამოსულიყო - ნიჭიერმა ქართველმა იაზრა, რომ გვირაბის გათხრისას, ის მინისქვეშა კომუნიკაციები უნდა გამოეყენებინა, რომელთა მეშვეობით ბანკს წყალი მიენოდებოდა. ცილიაკუსის ხალხმა ამ მხრივ ყველაფერი ადრევე დაწვრილებით დაადგინა და სწორედ ამიტომაც, აფრასიონ ჩიხრაძეს და პავლე გოცირიძეს გვირაბის გაყვანა არცთუ ისე გასჭირვებიათ - რამდენადაც საკვირაო სკოლა



ბანკის შენობას უკანა მხრიდან მჭიდროდ ეკვროდა, ძირითადი სამუშაო სამ დღეში დაასრულეს. 1904 წლის 24 დეკემბრის საღამოს, მათ ფინეთის სამთავრო ბანკის მთავარ საქვაბეში შედგენა შეძლეს.

იქიდან გამომდინარე, რომ შობა თენდებოდა, მორიგეთა ცვლის უფროსმა, იან ფილიპ კუუსინენმა თანამშრომლებს წაქეიფება შესთავაზა: „ხვალ დიდი დღესასწაულია და რა დაშავდება, თუ მოკრძალებულად აღვნიშნავთ? უფროსობა ზეგამდე არ მოგვაკითხავს“, - უთხრა პოლიციის ოცეულის უფროსსაც. ამ უკანასკნელს გამეორება არც დასჭირვებია, ისე დათანხმდა და თანაც - სიხარულით. კუუსინენმა ერთ-ერთ პოლიციელს დუქნიდან არაყი და მისაყოლებელი მოატანინა და თორმეტი საათის დადგომისთანავე, პირველი სადღეგრძელოც თვითონ წარმოთქვა. ქეიფი ეშხში რომ შევიდა, კუუსინენმა მეინახეები შეუმჩნეველად მიატოვა, საქვაბისა და ხაზინის რეზერვის საცავის კარი გააღო და ისევ სუფრას მიუბრუნდა. პოლიციელთა ოცეულის უფროსი უკვე გვარიანად შემთვრალიყო და ახლა დაჟინებით ითხოვდა „ბანკეტის გაგრძელებას“ - მან ბანკის ეზოდან რამდენიმე ხელქვეითი მოიხმო და მედიდურად უბრძანა: „ნადით, სადაც გინდათ, როგორც გინდათ, მიშოვეთ ბლომად არაყი და მომიტანეთ!“

აფრასიონ ჩიხრაძემ, პავლე გოცირიძემ და მათმა ფინელმა დამხმარემ - კრისტიან პუუმალაინენმა, რომელთაც პოლიციის ფორმები ეცვათ, ხელსაყრელი ვითარებით მშვენივრად ისარგებლეს - საცავში შეიპარნენ, ოქროს ზოდები წინასწარ მომზადებულ ტომრებში ჩაყარეს და გვირაბის გამოვლით, თავიანთ სარდაფში გამოვიდნენ; ხაზინის რეზერვის მთლიანად გამოტანას სამი გზობა დასჭირდა, თუმცაღა მოქეიფე დაცვის წევრებს არაფერი გაუგიათ. როცა საცავიდან ბოლო ტომარაც გაიტანეს, კრისტიან პუუმალაინენმა კუუსინენს ნიშანი მისცა; ამ უკანასკნელმა სუფრა კვლავ შეუმჩნეველად მიატოვა, საცავის კარი ჩაკეტა, გასაღები ვახტზე დაკიდა და მძარცველებთან ერთად, გვირაბში გაუჩინარდა. ასე დასრულდა გასული საუკუნის ცხრაასიანი წლების ყველაზე გრანდიოზული ძარცვა, რომლის შედეგმაც იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა.

მომხდარის თაობაზე ჰელსინკის პოლიციამ და ჟანდარმერიამ ინფორმაცია მხოლოდ 1904 წლის 26 დეკემბერს, დილით მიიღო, როდესაც ვეგელიუსი სამსახურში გამოცხადდა და იქ კუუსინენი ვერ აღმოაჩინა; მორიგეებსა და პოლიციის ოცეულის უფროსს ფოიეში ეძინათ, არყის ცარიელი ბოთლები და ძეხვეულის ნამუსრევი კი პირდაპირ იატაკზე ეყარა. შეშფოთებული ვეგელიუსი მაშინვე საცავის კარს ეცა და როგორც კი დაცარიელებული

თაროები დაინახა, ინფარქტმა დაარტყა. მოგვიანებით გამოიკვია, რომ ხაზინის რეზერვის გარდა, წაღებული იყო აგრეთვე ალმასების კოლექციაც - საერთო ჯამში, ზარალმა ხუთ მილიონ ოქროს მანეთს დიდად გადააჭარბა, რამაც რუსეთის იმპერიის მესვეურები შოკში ჩააგდო. „ფინეთის სამთავრო ბანკის საქმე“, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მკაცრად გასაიდუმლოვდა და პირადად სამხედრო მინისტრის, ვიქტორ სახაროვის კონტროლს დაექვემდებარა, თუმცა გამოძიებამ ვერაფერი გაარკვია: კარლ თეოდორ ალექსანდრ ვეგელიუსმა, რომელზეც ჟანდარმერიამ ეჭვი მიიტანა, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება მალე მოახერხა - მან ძალოვნებს გენერალ-გუბერნატორის სპეციალური განკარგულება წარუდგინა, რომელიც ბანკიდან სამხედრო დაცვის მოხსნას ეხებოდა. გენერალ-გუბერნატორმა - ივანე ობოლენსკიმ მინისტრ ვიქტორ სახაროვისგან მიღებული საიდუმლო ბრძანება გამოამხეურა და ამგვარად, გამოძიებას თავგზა აებნა.

რაც შეეხება მძარცველებს - ბესო სვანიძემ, პავლე გოცირიძემ და აფრასიონ ჩიხრაძემ საქართველოში მშვიდობიანად ჩამოაღწიეს, მიღებული წილიდან მილიონი მანეთი შვეიცარიის ბანკში, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ანგარიშზე ჩარიცხეს, 250 ათასი მანეთი კი ერთმანეთში გაიყვეს. კონრად ცილიაკუსმა და მისმა თანამოაზრეებმა აღებული ფულით 1905 წლის იანვარში ანარქო-ტერორისტული ორგანიზაცია - „აქტიური წინააღმდეგობის პარტია“ დააარსეს, რომელმაც შემდგომში რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ბევრჯერ გამოიჩინა. იან ფილიპ კუუსინენმა კი ფინეთი 1904 წლის 26 დეკემბერსვე, უპრობლემოდ დატოვა, შვეიციაში გადავიდა და თან წაიღო ალმასების კოლექციაც. პოლკოვნიკმა მოტოჯირო აკაშიმ იაპონიის შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი 2.500.000 მანეთით გაზარდა, რის გამოც იმპერატორმა „მამაცობის ორდენით“ დააჯილდოვა.

რამდენადაც რუსულმა ჟანდარმერიამ და „ოხრანკამ“ „ფინეთის სამთავრო ბანკის საქმე“ მკაცრად გასაიდუმლოვა და მეტიც - მასში შემავალი დოკუმენტების უდიდესი ნაწილი საერთოდ გაანადგურა, რუსეთში ეს ამბავი ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილი კარგა მოგვიანებით - გასული საუკუნის 90-იან წლებში გახდა, თუმცა ბევრი რამ დღესაც დაუდგენელია. ამ მხრივ, ისტორიკოსებისათვის ნამდვილად ფასდაუდებელ წყაროს კონრად ცილიაკუსის მოგონებები წარმოადგენს, რომელიც 1919-1920 წლებში სტოკჰოლმში გამოიცა და დღეს ბიბლიოგრაფიულ იმპიათობადაა ქცეული.

პროზა



გივი სინარულიძე

სოკელეზი

ერთგულება

განაჩენი

მეცნიერების ინტენსიური განვითარების ახალი მიმართულება

ტექნიკური პროგრესისა და წარმოების მასშტაბების ზრდა, უფრო მეტი რაოდენობის მატერიალურ რესურსებს მოითხოვს, უკანასკნელ 20-30 წლის მანძილზე კაცობრიობამ იმაზე მეტი რაოდენობის ნედლეული გამოიყენა, რაც მთელი მისი არსებობის მანძილზე. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის 15% კვების პროდუქტების რაოდენობრივ ნაკლებობას განიცდის, ხოლო მოსახლეობის 60% იკვებება არა სრულფასოვანი საკვებით. ცნობილია, რომ კვების პროდუქტების მსოფლიო წარმოებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილება, ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, ცილები და ამინომჟავები, რომელთა დეფიციტი 20 მილიონ ტონას შეადგენს წელიწადში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცილის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე.

მიუხედავად კვების პროდუქტებისა, ჯერ კიდევ საკმაოდ არა რაციონალურად ვიყენებთ ძვირფას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს... მისი მნიშვნელოვანი ნაწილი (40-50%) ნარჩენების სახით სანაგვეებზე იყრება.

მსოფლიოს მეცნიერების აზრით კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა შესაძლებელია კვების პროდუქტების არა ტრადიციული ნედლეულის (ნარჩენების) გამოყენებით. კვების პროდუქტების წარმოებისათვის ნარჩენების გამოყენება საკმაოდ მაღალრენტაბელურია იმის გამო, რომ მათ დამზადებაზე და ტრანსპორტირებაზე უკვე განუღებია კაპიტალური დანახარჯები. მათი ძირითადი, მაპროფიტებელი პროდუქციის დამზადების პროცესში, რომლის ოდენობა 60—70%-ს შეადგენს. ხშირ შემთხვევაში ნარჩენებისაგან დამზადებული პროდუქტების კვებითი ღირებულება, არა თუ არჩამოუვარდება პირველადი ნედლეულისაგან დამზადებულ პროდუქტს, არამედ მასზე უფრო ძვირად ღირებულია, მაგალითად: ამინომჟავები, საკვები ცილები, საღებავები, სამედიცინო პრეპარატები.

მსოფლიოს ეკონომისტების გაანგარიშებით კვების პროდუქტების 20—25% შეიძლება მივიღოთ



ნარჩენებისა და მეორადი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.

საქართველოში კვების მეორადი ნედლეულის გამოყენება ყოველწლიურად 2,5 მლნ ტონას აღწევს; მათ შორის ერთი მილიონ ტონაზე მეტი წარმოიქმნება კვების, ვაჭრობის, მსუბუქი მრეწველობის სანარმოებში და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, მაკულატურის სახით, რომელთაგანაც შესაძლებელია მაღალი კონცენტრაციის ცხოველთა საკვების გამოყენება, იმ დროს როდესაც ტრადიციულ საკვებში ცილების შემადგენლობა არ აღემატება 10—15%-ს.

ასეთივე მდგომარეობაა ადამიანის კვებაში. სტატისტიკური მონაცემებით ცილის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე დღე დღეში 1990 წლისათვის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში შეადგენდა 92 გრამს. დანარჩენ ქვეყნებში 54,6 გრამს, მათ შორის ცხოველური ცილების 17—20 გრამს, ნაცვლად 59 გრამისა. ყველაზე ოპტიმისტური გაანგარიშებით, ამჟამად მსოფლიოში საკვები ცილის დეფიციტი შეადგენს 20 მლნ ტონას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობების ზრდა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, საკმარისი არ არის ცილის დეფიციტის დასაფარავად. ამიტომ მეცნიერებამ გამონახა ცილის დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთი რეალური გზა — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან ცხოველთა საკვები ცილების მიღების მიკრობიოლოგიური მეთოდი. ამრიგად წარმოიშვა ცილოვანი პროდუქტების მრეწველობის ახალი დარგი. — მიკრობიოლოგიური მრეწველობა.

მეორადი ნედლეულისაგან მიკროორგანიზმებს, შეუძლია დააგროონ დიდი რაოდენობით (30—50%-ს) შემცველობის ცილები. ცილების მიღების მიკრობიოლოგიური მეთოდი, მცენარეული და ცხოველური ცილებისა და ამინომჟავების მიღების ერთ-ერთი პერსპექტიული და მაღალრენტაბელური მეთოდია, მისი უპირატესობაა ბიომასის მიღების მცირე დრო (2-2,5 დღე) და მაღალი ეფექტიანობა. ამ მეთოდის გამოყენებით საკვები ცილები მიიღება 500-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ყველაზე მაღალმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაგან და 1000 — 5000 ჯერ,

მეცნიერება

უფრო სწრაფი, ვიდრე ყველაზე პროდუქტიული ცხოველებისაგან. ამასთან მისი მიღება ნაკლებად შრომატევადია, მიკროორგანიზმები გადაამუშავებენ კვების ნარჩენებს აპარატებში, ექვემდებარებიან პროცესების ავტომატიზაციას, დამოკიდებული არაა გარემო პირობებზე, მისი ორგანიზაცია შესაძლებელია დედამინის ნებისმიერ ტერიტორიაზე. მიკროორგანიზმების საკვებად გამოყენება კვებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ნარჩენები და მეორადი ნედლეული, რომელიც დღეს სანაგვეებზე იყრება და წამლავს ატმოსფეროს.

ამჟამად ამინომჟავების წარმოების მოცულობამ მსოფლიოში 400 ათას ტონას გადააჭარბა. მათი მწარმოებელი ქვეყნებია: იაპონია, საფრანგეთი, და აშშ. საბჭოთა კავშირში 1967 წელს შეიქმნა მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო. 1978 წელს ამ დარგმა მეცხოველეობას მისცა 15ჯერ მეტის საკვებისა ფუარი ვიდრე 1966 წელს. მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა ამ მიზნით უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები. კერძოდ ამერიკაში ცილებს ლებლობენ ჭარხლის, ლერწმის, თამბაქოსა და ქალაღის მრეწველობის, ნახერხებისა და ცელულოზის შემცველ სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან. ლუიზიანასა და ტეხასის უნივერსიტეტებში სამრეწველო ფირმებთან ერთად შემუშავებულ იქნა ცილის სამრეწველო დანადგარის პროექტი 60 ათასი ტონა წელიწადში წარმადობით.

ფინეთში ამენებულა საფუარის ქარხანა, რომელიც ცელულოზის ნარჩენებისაგან 9—10 ათას ტონა ცილას ამზადებენ ბრინჯისა და სახამებლის ნარჩენებისაგან.

საქართველოში ცხოველთა საკვები ცილების წლიური მოთხოვნილება წელიწადში 60 ათას ტონას აღმატება. ფაქტობრივად უკანასკნელ წლებში (2000-2004წწ) ნახერხისა და მუყაოს ნარჩენებისაგან გიდროლიზის გზით ინარმოებოდა ცხოველთა საკვებათ, მხოლოდ 5.0 ათასი ტონამდე ცილოვანი საკვებად. ახმეტისა და ზუგდიდის ქარხნებში.

მიუხედავად მეცხოველეობის და მეფრინველეობის დაბალი განვითარებისა მის პროდუქტიულობის ამაღლებაზე არავინ ზრუნავდა. საქმის არის, რომ ამ დარგის განვითარებისათვის ტრადიციულად გამოიყენება დაბალი კალორიულობისა და ცილის შემცველობის საკვები. მეცხოველეობაში ნედლი და ხმელი ბალახი — (თივა და ჩალა), მეფრინველეობაში კი ხორბალი და ბალახი. ყველა ამ სახის საკვებში ცილის შემცველობა არ აღემატება 8-10%-ს, იმ დროს როდესაც ფრინველისა და მოზარდი ცხოველების ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია

30-40%—ცილის შემცველობის საკვები.

ცილა ცოცხალი ორგანიზმის ზრდისა და განვითარების აუცილებელი პირობაა, ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა ამ დარგის ინტენსიური განვითარება, პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ მისი ხარისხიანი საკვები ბაზის უზრუნველყოფაზე.

მეცნიერებამ ამ საკითხში სერიოზული განაცხადი გააკეთა, მან მოგვცა ცელულოზისა და რთული შაქრებისაგან ცილის მიღების გზები. ხის დამუშავებით მიღებული ნახერხის ჰიდროლიზით ახდენენ არა ორგანული მჟავების — მარილისა და გოგირდის მჟავების საშუალებით, რაც საკმაოდ ძვირი და რთულია. ამიტომ დამუშავებულ იქნა კვების მრეწველობის ნარჩენებისაგან მიკრობიოლოგიური მეთოდით ცილის მიღება.

1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა ინიციატივით ექსპერიმენტული ნაწილის ხელმძღვანელი ან. განსვენებული პროფ. გ. მიქელაძისა და ეკონომიკური ნაწილის ხელმძღვანელი პ. ჩაგელიშვილის ინიციატივით საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერით შეიქმნა დარგობრივი სამეცნიერო — კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც დაევა არა ტრადიციული მატერიალური რესურსების პასპორტიზაცია. ექსპერიმენტული და ეკონომიკური კვლევის საფუძველზე გაანგარიშებულ იქნა მათი მოსალოდნელი რაოდენობა საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებისა და ნარჩენების სახეობების მიხედვით.

კვების მეორადი ნედლეულის რაოდენობა საქართველოში (ათასი ტონა)

დარგების დასახელება	ფაქტიურად 1990წ.	მოსალოდნელი 2010წ.
1. სულ კვების მრეწველობაში: (ყურძნის ჭაჭა და ლექი, ლუდის, საკონსერვო შაქრის ჭარხლის, შაქრის ბადაგი, პურფუნთუშეულის, ჩაის და ეთერ ზეთების).	490.0	670.0
2. ხორცისა და რძის მრეწველობაში	240	179.0.0
3. დამზადების, ვაჭრობის სამინისტროში და სოფლის მეურნეობის სისტემაში.	322.0	394.0
4. საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ კვებაში.	200	220.0
სულ საქართველოში	1605.0	2025.0

საქართველოში სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ (1980-1988წწ.) მეორადი მატერიალური რესურსების ეკონომიკურ და ექსპერიმენტულ საკით-

მეცნიერება

ნებში, მოსკოვის მიკრობიოლოგიის კვლევით ინსტიტუტთან ერთად: თსუ-ს დარგობრივი ლაბორატორიის 12-მდე ბიოლოგი და ქიმიკოსი 8 წლის განმავლობაში ნაყოფიერად შრომობდა: დამუშავებულ იქნა მეორადი რესურსებისაგან ცილოვანი საკვების დამზადების ტექნოლოგია და მისიგამოცდა, ჩატარდაამრესურსებისრაოდენობის პასპორტიზაცია, დარგებისა და რაიონების მიხედვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ-ს დარგობრივ ლაბორატორიის პროფესორების (ან განსვენებულ) გივი მიქელაძისა და ამ სტატიის ავტორის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპერიმენტალური და ეკონომიკური კვლევა და კვლევის შედეგების საწარმოო გამოცდა. 1984 წლის სექტემბერში ახმეტის მიკრობიოლოგიურ ქარხანაში თსუ-ს დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკების მიერ დამზადებული იქნა მათ მიერ დამუშავებული ტექნოლოგიით ყურძნის ჭაჭისაგან 10 ტონა მაღალი ცილის შემცველი (35—40) ბიომასა და მიღებული პროდუქცია (ბიომასა) გამოყენებული იქნა ბროილერის გამოსაკვებად, 3 დღიანი წინილების გამოკვება წარმოებდა 67 დღის განმავლობაში, რამაც საუკეთესო შედეგები მოგვცა. ცილოვანი ბიომასისაგან გამოკვებილი იქნა ბროილერის სამი ჯგუფი, თითო ჯგუფი შედგებოდა 300 3 დღიანი ბროილერისაგან.

გამოცდის შედეგის დასადგენათ შეიქმნა სპეციალური სადგესტაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ტექნოლოგიები, სანიტარული სამსახურის მუშაკები, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სპეციალისტები, საქართველოს საკვების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსი და სხვა წამყვანი სპეციალისტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკები და ახმეტის მიკრობიოლოგიური ქარხნის სპეციალისტები და თსუ-ს დარგობრივი ლაბორატორიის სპეციალისტები — (აქტი 1 1984 წ. 24 სექტემბერი). 1985 წელს (1985 7018) საქართველოს ღვინის მრეწველობის კომიტეტი აკეთებს განცხადებას, რომ მას შეუძლია დაწყებული 1986 წლიდან ყოველწლიურად მიაწოდოს კახეთის ზონის ქარხნებიდან 40 ათასი ტ. ღვინის წარმოების ნარჩენები. მათ შორის:

1	ახმეტის ღვინის ქარხნიდან	5000 ტ.
2	წინანდალის საწვავრო.	7000 ტ.
3	გურჯაანის	10000 ტ.
4	ქინძმარაულის	7000
5	სიღნაღის ღვეკომ.	5000
6	წითელი—წყარო ღვ.	5000
7	ბაისუბნის ღვ.	1000

(ცნობას ხელს აწერს მეღვინეობის კახეთის ზონის მაშინდელი მმართველი თ. ლოლაძე).

1984 წლის 10 სექტემბერს ასევე ჩატარდა ცილოვანი ბიომასით ქათმების გამოზრდა კოდის ჯორჯიაშვილების სახელობის მეფრინველეობის ფაბრიკაში, სადაც ამავე მეთოდით გამოზრდილი იქნა ქათმების სამი ჯგუფი. სამივე ჯგუფში შენარჩუნებულ იქნა გამოსაზრდელი წინილების რაოდენობის 84-86%. მათი დაკვლის შედეგად დადგინდა: პირველი ჯგუფის ერთი ქათმის საშუალო წონა 1793.89, მეორე ჯგუფის — 1796.87 და მესამე ჯგუფის — 1666.67 გრამი. საშუალო დღე-ღამური ნამატი შეადგენდა 26,19, 26,23 და 24,29 გრამს, რაც ათჯერ მეტია ვიდრე ჩვეულებრივი ტრადიციული საკვების გამოყენების შემთხვევაში. (კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის წერილი თსუ-ს ლაბორატორიის უფროსს გ. მიქელაძეს 10.09.84 01—11639).

ჩემ მიერ უნივერსიტეტის დარგობრივ ლაბორატორიაში ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტში. რის შესახებ 1984 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ჩოფიკაშვილი აცნობებს თსუ-ს პრორექტორს ბატონ ამალობელს, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გაცნობებთ, რომ: საგეგმო კომიტეტმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი მასალები კვების 87 ნარჩენებისა და მეორადი მეღვინეობის გამოყენების შესახებ, პავლე ჩაგელიშვილის მიერ შემუშავებული ცილოვანი საკვების საწარმოთა ობიექტები მართვის სტრუქტურის სრულყოფის საკითხი, რომელიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს მიკრობიოლოგიური მრეწველობის განვითარებისა და გადაადგილების გეგმის შედგენის დროს, კერძოდ კი გიდროლიზისა და საფუარის ქარხნების აბაშაში და გურჯაანში, საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის, მცხეთაში და ახმეტის ბიოქიმიური ქარხნის რეკონსტრუქციის დროს.

1985 წლის აპრილში საქართველოში ჩატარებული იქნა წარმოების ინტენსიფიკაციის კონკურსი, (გაზეთ ზარია ვოსტოკა 93 (18148) 23 აპრილი წ.) სადაც თსუ დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკებს მიენიჭათ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მესამე ხარისხის პრემია და ფულადი ჯილდო, ყურძნის ჭაჭის მიკრობიოლოგიური მეთოდით ცილით გამდიდრების ტექნოლოგიის შემუშავებისათვის.

ხოლო 1989 წლის 15 მაისს სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა 4 მათგანზე — გივი მიქელაძეს, პავლე ჩაგელიშვილს, ლიანა

ბალაშვილს და ლიანა ანდლულაძეს მიეცათ გამოგონების საავტორო მოწმობა N1507787.

საკავშირო მიკრობიოლოგიის სამინისტროს თხოვნით, ჩემს მიერ შესწავლილი და წარდგენილი იქნა, ასევე მაშინდელი ლენინგრადისა და კრასნოდარის მხარის კვების მეორადი რესურსების რაოდენობისა და მათი სამრეწველო გამოყენების ეკონომიკის საკითხები.

1985 წელს საბჭოთა კავშირის მიკრობიოლოგიის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ 1985 წელს გადაწყვიტა მცხეთაში აეშენებინა ცხოველური ცილების საცდელი წარმოება, რისთვისაც მან 1985 წლისათვის საქართველოს სოფლისმშენებლობის სამინისტროს გამოუყოფთი მილიონ 850 ათასი მანეთი, ხოლო 1987 წლისათვის ორი მილიონ 850 ათასი მანეთი. მშენებლობა დაიწყო მცხეთიდან გადასასვლელ ხიდთან, ჩაყარა საძირკველი და ამოყვანილი იქნა ბეტონის კოლონები. (რომელიც დღესაც ცენტრალური მაგისტრალიდან კარგად ჩანს), მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო მშენებლობა შეჩერებული იქნა.

ჩვენი აზრით სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება, განსაკუთრებით მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგების და მის ბაზაზე ადამიანისათვის აუცილებელი ცილებით, ამინომჟავებით უზრუნველყოფისათვის, დღეისათვის ყველაზე რეალური და მაღალრენტაბელური ღონისძიებაა, კვების მეორად მატერიალური რესურსების მიკრობიოლოგიური სინთეზი ცილებისა და ამინომჟავების სამრეწველო წარმოება. უკვე 25 წელი გავიდა მას შემდეგ მნიშვნელოვანი მაღალრენტაბელური რეზერვი ჩვენს თვალწინ შემჩნეულათ ქრება. დაუჯერებელია მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანას ჰქონდეს მილიონობით ტონა მეორადი, თუმცა პირველად ნედლეულზე არანაკლებ ეფექტიანი რესურსი, გქონდეს ტექნოლოგია და შენს თვალწინ იგი კანალიზაციის ქსელში ნიაღვრად ჩაედინებოდეს ან სანაგვეებზე იყრებოდეს, წამლავდეს ატმოსფეროს და ამ დროს შენი მოსახლეობა ხორცს ბაზარზე სიძვირის გამო ვერ ყიდულობდეს. **ფაქტია, რომ ყოველწლიურად საქართველოში ორ მილიონ ტონამდე მეორადი ნედლეული იყრება და იღვრება, რომლისგანაც ახალი ტექნოლოგიით შეიძლება დამზადდეს, სულ მოკლე დროში და მინიმალური დანახარჯებით 1.5 მლნ ტონა მაღალი ცილის შემცველი ცხოველთა საკვები, რაც სრულიად საკმარისია საქართველოს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის**

ინტენსიური განვითარებისათვის.

გულდასანვეტია, რომ ასეთი სასიცოცხლო და ქვეყნისათვის კეთილდღეობის მომტან საკითხს, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიის მუშაკებმა 10 წელზე მეტი დრო მოანდომა და წარმატებით გადაწყვიტა, დღეს ყველასაგან მივიწყებულია.

კვების მრეწველობის წარჩინებისაგან ცხოველთა და ფრინველთა საკვებად მიკრობიოლოგიური ცილებისა და ადამიანისათვის ამინომჟავების წარმოებას, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები უკვე დიდი ხანია აწარმოებენ. მაგალითად აშშ, შვეიცარიაში, გერმანიაში და პოლონეთში. მთელ რიგ ქვეყნებში განსაკუთრებით ტეხასისა და სხვა შტატებში, ბრაზილიაში, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრებში საკანალიზაციო ქსელიდან, მიღებული საკანალიზაციო ქსელის ფეკალური თხევადი მასიდან და მეცხოველეობის მან მიღებული ნაკელისაგან, მაღალი წნევისა და ტემპერატურის გამოყენებით ლეზულობენ კონცენტრირებულ ცილოვან ბიომასას, საღებავებს, ფერმენტებს, ამინომჟავებს და სხვა ადამიანისათვის აუცილებელ პროდუქტებსა და პრეპარატებს.

საყოველთაოდ ცნობილია, ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა 20 სახის ამინომჟავა, რომელთაგანაც, თერთმეტი სახის ამინომჟავას ორგანიზმი თითონ გამოიმუშავებს საკუთარი რესურსებით, ხოლო დანარჩენი 9 ამინომჟავა უნდა მიიღოს გარედან. ამიტომ თითოეული ქვეყანა უნდა აწარმოებდეს საჭირო რაოდენობის ამინომჟავებს ან უნდა ყიდულობდეს მას სხვა ქვეყნიდან.

იტალიაში, განსაკუთრებით ეფექტიანად იყენებენ ყურძნის ნარჩენებს ჭაჭასა და ღვინის ლექს, მისგან ამზადებენ ღვინის ქვის მჟავას, ცილებსა და ამინომჟავებს, საღებავებსა და პექტინს, ფერმენტებსა და სხვა ადამიანისათვის მეტად საჭირო პროდუქტებს. ამიტომ აქ ყურძნის ნარჩენებს თვით ყურძენზე არა ნაკლები ღირებულება აქვს.

მეორადი ნედლეულისაგან საქართველოში ყოველწლიურად შესაძლებელია მივიღოთ 150 ათასი ტონა ცილოვანი ბიომასა 30-40% ცილის შემადგენლობით, რომელიც სრულიად საკმარისია საქართველოს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ინტენსიური განვითარებისათვის.

ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, ღირსების ორდენოსანი
პავლე ჩაბელიძე



რამდენ ხანს სოცხლოვს დედა ფუტკარი

მეთაფლე ფუტკრები მიეკუთვნებიან საზოგადოებრივ მწერებს. მათი ამოცანაა სახეობის შესანარჩუნებლად ოჯახის წევრებისათვის საარსებო პირობების შექმნა.

ფუტკრები მაღალორგანიზებული მწერები არიან. ერთი ოჯახის წევრები სახლდებიან ერთ ბინაში, ერთად აგროვებენ საკვებს, აშენებენ ფიჭებს, უვლიან შთამომავლობას და დედას, ერთად იცავენ თავს მტრისაგან.

ოჯახში ცხოვრება ემორჩილება განსაკუთრებულ წესებს. იგი ეფუძნება წევრთა შორის შრომის სამართლიან განაწილებას. ყველა მათგანის არსებობა და გამრავლება დამოკიდებულია ერთმანეთზე. დადგენილი ცხოვრების წესების მკაცრად დაცვა აძლევთ მათ საშუალებას, შეაგროვონ საკვები, დაიცვან სკაში ოპტიმალური ტემპერატურა, ტენიანობა და გამრავლდნენ.

ფუტკრის ოჯახის წევრებს აქვთ საერთო სუნი; ისინი მოძრაობებითა და სასიგნალო ხმებით ერთმანეთს გადასცემენ ინფორმაციას.

ფუტკრის ოჯახი შედგება ერთი დედის, ათიათასობით მუშა და რამდენიმე ასეული მამალი ფუტკრისაგან.

დედა, მუშა და მამალი ფუტკრები გარეგნულად ერთმანეთს ჰგვანან, აგებულია ერთნაირი აქვთ, მაგრამ ფიზიოლოგიურად და ფუნქციებით მთლიანად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დედა ფუტკარის მოვალეობაა შთამომავლობის გასამრავლებლად კვერცხის დება. შთამომავლო-

ბის აღზრდაზე ის არ ზრუნავს. მათ ზრდიან მუშა ფუტკრები.

დედა დებს განაყოფიერებულ ან გაუნაყოფიერებელ კვერცხს ფიჭის უჯრედში. იგი ერთ უჯრედში ათავსებს ერთ კვერცხს. კვერცხის სიგრძე დაახლოებით 1,5 მმ-ია, დიამეტრი – 0,5 მმ.

განაყოფიერებული კვერცხიდან იჩეკება მატლი, რომლისგანაც ოჯახი, საჭიროების მიხედვით, გაზრდის დედა და მუშა ფუტკარს. ხოლო გაუნაყოფიერებული კვერცხიდან დაბადებული მატლისგან იზრდება მამალი ფუტკარი.

მატლს ფიჭის ღია უჯრედში ახალგაზრდა აღმზრდელები, ანუ ძიძა ფუტკრები კვებავენ. შემდეგ უჯრედს გადააკრავენ ცვილის თხელ ფენას, ანუ გადაბეჭდავენ. გადაბეჭდილ მდგომარეობაში იგი გაივლის ჭუპრობის სტადიას, რის შემდეგაც იბადება ზრდასრული ფუტკარი. მატლის გამოჩეკიდან ფიჭის უჯრედის გადაბეჭდვამდე მას ღია ბარყტი ჰქვია, შემდეგ — გადაბეჭდილი ბარყტი.

დედა ფუტკარი ოჯახს გამოჰყავს სამ შემთხვევაში:

1. თუ ოჯახი ემზადება გასაყოფად, ანუ ნაყარის გამოსაშვებად, ასეთ დედას ჰქვია სანაყრე დედა.
2. როცა დედა თავის მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებს, მას ცვლიან ახალი დედით, ანუ ახდენენ თვითშეცვლას.
3. თუ დედა უნებლიედ დაიკარგა ან მეფუტკრემ ამოიყვანა და მან აღარ მისცა ოჯახს სამაგიერო, მას „გაჭირვების დედა“ ჰქვია.

დედა ფუტკარის გამოსაზრდელად მუშა ფუტკრები აშენებენ 8-9 მმ-ის დიამეტრის „სადედე ჯამებს“. სანაყრედ აშენებენ 10-20 ცალ ჯამს, თვითშეცვლისას – 2-3-ს. ჯამებში დედას ჩაადებინებენ განაყოფიერებულ კვერცხებს, საიდანაც სამი დღის შემდეგ დაბადებულ მატლებს ძიდა ფუტკრები უხვად კვებავენ სადედე რძით.

დაბადებიდან 5,5 დღის შემდეგ ბატყიან ჯამს გადაბეჭდავენ. გადაბეჭდილ სადედე ჯამს „რკოს“ ეძახიან. კვერცხის დადებიდან მე-16 დღეს უჯრედიდან გამოდის ახალგაზრდა დედა ფუტკარი. ოჯახში რჩება პირველად დაბადებული დედა, დანარჩენებს დაბადებამდე რკოებში ხოცავენ.

დაბადებიდან მეექვსე დღეს, მოლონიერებისა და თავისი სკის დამახსოვრების შემდეგ, დედა სკიდან გამოდის და მიფრინავს გასანაყოფიერებლად. ნათესაური სისხლის შერევა რომ არ მოხდეს, ის თავის საფუტკრესთან ახლოს მცხოვრებ მამალ ფუტკრებთან არ ნაყოფიერდება, მიფრინავს შორს, შეიძლება 10 კმ-ზეც კი გადაფრინდეს.

უცხო საფუტკრეებზე გადაფრინისას, დედა გამოყოფს მამლების გამაღიზიანებელ ნივთიერებას, რომლის სუნზე მამლები გამოდიან სკებიდან და ედევნებიან მას. დედა ძალიან სწრაფად მიფრინავს ჰაერში, მას თან მიჰყვებიან მამლები. მომქანცველი ფრენის შემდეგ ჰაერშივე ხდება შეჯვარება ყველაზე სწრაფ და ყველაზე ნაკლებად დაღლილ ფუტკართან. ამრიგად, ხდება ბუნებრივი სელექცია.

განაყოფიერება გრძელდება ორ-სამ დღეს 5-10 მამალთან. განაყოფიერების დასრულების შემდეგ დედა მუდმივად იმყოფება სკაში. იგი გარეთ გამოფრინდება მხოლოდ ოჯახის გამოყოფის შემთხვევაში. ძველი დედა ნაყართან ერთად საცხოვრებლად მიდის ახალ ბინაში, ხოლო ოჯახში რჩება ახალგაზრდა დედა.

განაყოფიერებისას დედის ორგანიზმში თავს იყრის სხვადასხვა ბუნების მქონე მამლების მამრობითი უჯრედები, — სპერმატოზოიდები, რომლებსაც დედა იყენებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ერთი დედის კვერცხებიდან დაბადებული დედა და მუშა ფუტკრები ზოგიერთი ნიშნით ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან. გაუნაყოფიერებელი კვერცხებისგან დაბადებული მამლები კი — დედის მსგავსნი.



ახალგაზრდა დედა კვერცხის დებას იწყებს განაყოფიერების დამთავრებიდან 3-4 დღის შემდეგ. კვერცხისმდებელ დედა ფუტკარს თავს ეხვევა 8-10 ახალგაზრდა მუშა ფუტკრისაგან შემდგარი ამალა, რომელიც მზრუნველობას არ აკლებს მას: ამალის წევრები უვარცხნიან ბენვს და ხორთუმით უხვად აწვდიან მაღალხარისხიან საკვებს — სადედე რძეს. ზამთარში, როცა დედა კვერცხის დებას წყვეტს, ამალა იშლება, ამიტომ დედა თვითონ ზრუნავს საკუთარ თავზე.

დედა ფუტკრის ხარისხს ვიზუალურად განსაზღვრავენ მისი გარეგნული მონაცემებით და კვერცხისმდებლობით. კარგად განვითარებული დედა არის მსხვილი და თანდათანობით ინაცვლებს ნაპირისკენ ისე, რომ არ ტოვებს არც ერთ უჯრედს; კვერცხს ათავსებს უჯრედის ფსკერის ცენტრში.

დედის დაკარგვის შემთხვევაში აღმზრდელი ფუტკრები გადააკეთებენ ერთი ან ორი დღის მუშა ფუტკრის მატლიანი ფიჭის უჯრედებს სადედე ჯამებად, უხვად ჩაასხამენ მათში სადედე რძეს და იწყებენ ე.წ. „გაჭირვების დედების“ გამოყვანას. ოჯახი სრულყოფილად მუშაობას იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა ახალი დედა დაიწყებს კვერცხის დებას. ამას თითქმის ერთი თვე სჭირდება. გაჭირვების დედა სანაყრესთან შედარებით ნაკლებხარისხოვანი გამოდის.

დედა ცოცხლობს 4-5 წელიწადს ან უფრო მეტსაც, მაგრამ ვარგისია პირველ ორ წელიწადს.

დედა ოჯახის ცენტრალური ფიგურაა. მისი ფუნქციონირების შესუსტებისას, ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, მუშა ფუტკრებს გამოჰყავთ ახალი დედა და ოჯახში მას იტოვებენ. ძველს კლავენ ან აძევებენ ოჯახიდან გარეთ. გამოძევებული დედა იღუპება.

მუშა ფუტკრის გამოსაყვანად დედა განაყოფიერებულ კვერცხს დებს ფიჭის უჯრედში,



საიდანაც სამი დღის შემდეგ იბადება მატლი, რომელსაც სამი დღის განმავლობაში ძიძა ფუტკრები ფუტკრის რძით კვებავენ, ხოლო მეოთხე დღიდან კვებავენ მხოლოდ თაფლისა და ჭეოს ნარევით ე.წ. უხეში საკვებით. 6 დღის შემდეგ უჯრედს გადაბეჭდავენ. ხოლო კვერცხის დადებიდან 21 დღის შემდეგ, უჯრედიდან გამოდის ზრდასრული მუშა ფუტკარი.

ახალდაბადებული ფუტკარი რუხი ფერისაა, დაფარულია ხავერდისებრი ბუსუსებით და უსუსურია. პირველ დღეებში უფროსი ფუტკრები კვებავენ, მაძლიერებლის შემდეგ კი, სამი დღის ასაკიდან, თვითონ იწყებს შრომას.

ფუტკრის ოჯახში ყველა სამუშაო სწრაფად და ხარისხიანად სრულდება, იქ დამყარებული ნესრიგის მეშვეობით. ახალგაზრდა ფუტკრები მუშაობენ სკაში, 3-4 დღისანი წმენდენ უჯრედებს, საიდანაც გამოიჩეკენ; ექვსი დღის ასაკში სარძევე ჯირკვლებში გამომუშავებული რძით იწყებენ ახალგამორჩევი ბარტყების განუწყვეტილ კვებას; უფრო მოზრდილები ასუფთავებენ სკას, აშენებენ ფიჭას; სკაში მოტანილ ნექტარს ასხამენ ფიჭის უჯრედში, შემდეგ კი ამწიფებენ, ანუ გარდაქმნიან თაფლად; აკონსერვებენ ფიჭაში მოტანილ ყვავილის მტვერს; ძიძა ფუტკრები სკაში იცავენ საჭირო — 34გრადუს ტემპერატურას.

16-17 დღისანი გადიან ველზე სამუშაოდ, ეზიდებიან ნექტარს და ყვავილის მტვერს. ძლიერი ლალიანობისას, 5-6 დღის ასაკიდან კი გადიან სამუშაოდ. მოზრდილები ეზიდებიან წყალს და იცავენ ოჯახს უცხო ფუტკრებისაგან.

დილით ადრე სამუშაოდ გადიან მზვერავი ფუტკრები. სკაში დაბრუნებულები ნექტრის სუნით და სასიგნალო მოძრაობებით ატყობინებენ დანარჩენ ფუტკრებს, რა სახისაა საკვები, როგორ უნდა მივიდნენ მასთან და რა მიმართულებით უნდა გაფრინდნენ. მიწოდებული ინფორმაციით მობილიზებული მუშა ფუტკრები უშეცდომოდ

აგნებენ საკვების წყაროს. ერთი მზვერავი სათანადო ინფორმაციას აწვდის 10-12 ფიტკარს.

ფუტკარი სკიდან, შეიძლება 8კმ-ის მანძილზეც გაფრინდეს და უშეცდომოდ დაბრუნდეს უკან. ოპტიმალურად მიჩნეულია სკიდან 2 კმ-ის რადიუსის საფრენი გარემო, ამ მანძილზე ფუტკარი ახერხებს, მოიაროს ყვავილოვან მცენარეებიანი 12 ჰექტრამდე ფართობი. უფრო შორ მანძილზე ფრენა არაეკონომიურია მისთვის.

ერთი კოვზი თაფლის მისაღებად ორასმა ფუტკარმა უნდა იმუშაოს მთელი დღის განმავლობაში. 1 კგ თაფლის მისაღებად ფუტკრები 4500-ჯერ მიფრინავენ ნექტრის მოსატანად.

10000 ფუტკარი იწონის საშუალოდ — 1კგ.-ს ოჯახი ძლიერად ითვლება, თუ მასში არანაკლებ 6 კგ ფუტკარია. ამ დროს მოსავლის მოტანაზე მუშაობს ოჯახის წევრთა 60%-ზე მეტი.

5კგ-იანი ფუტკრის ოჯახიდან მუშაობს ფუტკრების 60%. 3 კგ-იანი ფუტკრის ოჯახიდან — 40-50%.

უხვი მოსავლის მისაღებად საჭიროა ძლიერი ოჯახები.

თუ უხვი ლალიანობისას დედის კვერცხმდებლობას შევზღუდავთ, აღმზრდელი ფუტკრების ნაწილი გადადის ნექტრის შეგროვებაზე (70%-მდე) და ოჯახში იზრდება ყოველდღიურად შემოტანილი ნექტრის რაოდენობა.

ძლიერ ოჯახს დღეში შეუძლია შეაგროვოს 10-20 კგ ნექტარი. ე.ი. — 5-10 კგ თაფლი, 100-300 გრ-მდე ყვავილის მტვერი.

სეზონზე აგროვებენ 30-40 კგ. მტვერს, ზოგჯერ-მეტსაც.

მტვრის შეგროვებაზე მუშაობს ოჯახის მფრინავი ფუტკრების 25—30%.

ფუტკარს არ სძინავს. იგი ისვენებს გარინდულ მდგომარეობაში.



მუშა ფუტკრების სიცოცხლის ხანძლივობა დამოკიდებულია ოჯახის სიძლიერესა და წელიწადის დროზე, რაც უფრო შორსაა თაფლოვნები და ცვალებადია ამინდი, იმდენად მალე ილუპება მუშა. გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე ბარყტის მოვლითა და მაღალ ლალიანობაზე მუშაობით გადაქანცული მუშა ფუტკარი დიდხანს ვერ ცოცხლობს. ძლიერ ოჯახში ის ცოცხლობს 35-40 დღე, ხოლო სუსტში — 25-30. ზამთარში შეიძლება იცოცხლოს 6-8 თვემდე, ვიდრე ოჯახში ბარყტი არ გაჩნდება.

ასაკოვანი, შრომისაგან ბუსუსგაცვენილი, ფრთებგაცვეთილი მუშა ფუტკრები შავი ფერის და ავი ზნისანი არიან, — დაუძღურებულნი სკიდან გამოდიან და იხოცებიან.

მუშა ფუტკარი მდებრობითი სქესისაა, მისი სასქესო ორგანოები განუვითარებელია და ამის გამო მამალთან შეჯვარება არ შეუძლია. მაგრამ თუ დედა დაიკარგა ოჯახმა სამაგიეროს გამოზრდა ვერ შეძლო, ზოგიერთ მათგანს უვითარდება საკვერცხეები და იწყებს კვერცხის დებას. ასეთ კვერცხისმდებელ დედებს „ცრუ დედებს“ უწოდებენ. ცრუ დედების მიერ დადებული კვერცხი გაუნაყოფიერებელია და მისგან იჩეკება მხოლოდ მამალი ფუტკარი. ასეთ ოჯახს სასწრაფოდ უნდა მიშველება, — დედის მიცემა, თორემ დაილუპება.


მამალი ფუტკარი იბადება სამამლე უჯრედიდან, რომელშიც დედა დებს გაუნაყოფიერებელ კვერცხს, საიდანაც სამ-ნახევარი დღის შემდეგ იბადება მამალი ფუტკრის მატლი, რომელსაც ოთხი დღის განმავლობაში აღმზრდელები კვებენ ფუტკრის რძით, შემდეგ თაფლისა და ყვავილის მტვრის ნარევით. მეცხრე დღეს უჯრედს გადაბეჭდავენ. გადაბეჭდილი სამამლე უჯრედი მაღალია და ამობურცული.

კვერცხის დადებიდან 24 დღის შემდეგ უჯრედიდან იბადება მამალი ფუტკარი. დაბადებიდან ორი კვირის შემდეგ იგი სქესობრივად მწიფდება და მზად არის შესაჯვარებლად.

მამალი ფუტკარი მუშა ფუტკარზე მსხვილია, აქვს თითქმის მთელ თავზე მოთავსებული თვალეები, მძლავრი ფრთები და განვითარებული კუნთები.

ცხოვრების ძირითად დროს მამლები უქმად ატარებენ. მაგრამ ფიჭაზე ყოფნისას ისინი ათბობენ გადაბეჭდილ ბარყტიან უჯრედებს და სარგებლობა მოაქვთ ოჯახისათვის.

გვარის გაგრძელების მიზნით ბუნებამ ისინი გაათავისუფლა ყოველგვარი საზრუნავისაგან,



მისცა დიდი ღონე, მახვილი თვალი და ალღო. აქტიური გამრავლების პერიოდში მუშა ფუტკრები კვებენ მამლებს.

ოჯახი მამალი ფუტკრების გამოყვანას იწყებს ადრე გაზაფხულზე. დათბობასთან ერთად მათი რაოდენობა ოჯახში თანდათან მატულობს და ზაფხულში აღწევს რამდენიმე ასეულს, ზოგჯერ მეტსაც — რამდენიმე ათასს.

მიუხედავად იმისა, რომ მამლები მიჯაჭვულნი არიან თავიანთ ოჯახებზე, თავისუფლად შეუძლიათ შეფერენა სხვა სკებშიც.

მეფუტკრეობაში დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო მცდარი აზრი, რომ მამალი „უსარგებლო, ზარმაცი და უგუნური“ მწერია. ამიტომ ხელოვნურად ამცირებდნენ მათ რაოდენობას ან ანადგურებდნენ ჭუპრობის პერიოდში.

ოჯახს, რომელშიც ახალგაზრდა, მაღალხარისხიანი დედაა, გამოჰყავს მამლები იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

მამლების გენეტიკური მაჩვენებელი დიდ გავლენას ახდენს შთამომავლობის ხარისხზე. მაღალხარისხიანი მამლებისგან განაყოფიერებული დედები უხვი და ხანგრძლივი კვერცხმდებლობით გამოირჩევიან. შეჯვარების შემდეგ მამლები ილუპებიან.

დაკვირვებულ მეფუტკრეს მამლები ბევრ რამეს ატყობინებენ, კერძოდ: გაჩნდნენ გაზაფხულზე — გამრავლების პერიოდი დაწყებულია; მეტისმეტად ბევრი არიან — დედა დაბერებულია ან უხარისხოა; გამორეკეს სკიდან — ნაყარი აღარ იქნება; ზემოთ პატარები არიან — ოჯახი უდედოა ან დედა გაუნაყოფიერებელია. გამოზამთრებული მამალი ფუტკარი გასანაყოფიერებლად აღარ გამოდგება.

მამლები ცოცხლობენ 2-3 თვე.

მამლები ფუტკრის ოჯახების დროებითი წევრები არიან. ზაფხულის ბოლოს, როცა გამრავლების პერიოდი ამონურულია, მუშა ფუტკრები მამლებს საკვების მიღების საშუალებას აღარ აძლევენ, დამშეულებს და დაუძღურებულს გარეთ ერეკებიან, სადაც ისინი ილუპებიან.

წიგნიდან

„ჩვენი ღირსებანი“



აპერიკიან ნაფიქრი

*რა რაჯიოაღეთ ამერიკი ხანი,
ილია ჩუენში ვერ გაჯაჯიდიტ...*

შოთა ნოზაძე

აბა რა გითხრათ,
როგორ გითხრათ,
ან როგორ
ვწერო...
ამ სიუვარულსე...
და ტკივილსე
ერთად ორივე.
არსებობს სიტუვას?!
საიდანმე,
რომ გამოჯმერწო,
მხოლოდ დუმილი თუ იქნება
ცამდე მართალი...
ჩემ სახლის კარებს,
ერთი დროა აქვს გაღების
მუდამ..
ასე მგონია, ყოველ დილით,
მაცილებს
დედა..
შენთვის ვიცხოვრებ,
და ვიქნები ვეჯლასე ჩუმად
ოლონდ ვიცოდე,
ანლოს ვარ და ვეჯლვან
მხედავ..

მაწუხებს ახლა,
ყოველი დღე შენი ნერვების,
მუხლებსე სისხლებს რომ
მიქრობდი,
ერთი შესებით..
არ ვიცი ასე,
თუ კი სჯერა ჩემი გეგმების.
შენს გარდა დედი,
გულწრფელი და
დანამდვილებით!
არც არაფერი გამახნია,
შენს გარდა
ვიცი
ვევლა დიმილი,
გაჯიმრავლო
უხმოდ მინდა!

და როცა გულში,
დამიბიბიან
ბავშვობის წლები,
მაშინ ვხვდები
რომ დედა არის,
ვევლასე
წმინდა.

წარსულს თაროზე მტკვერი უხდება!

ღამე არ არის, ახლა არც დღეა, ჰეროდია გული რომ ფეთქავს,
ახლა ის დროა, სისხლი რომ მიდუღს, კონებაც უკვე დაფარულია.
ვიწეებ წარსულით, იმ სანუკვართ, ვერსად რომ ვატევთ, ძარღვებსაც ხეთქავს!
რთულია ეველა სტრიქონი...ხაზი...ეველა წერტილი, ო, რა რთულია!

ჩემი სამშობლო, წელში მოხრილი, მუჭა მიწაზე შემორჩენილი,
ჩემი სამშობლო, მარად ცოცხალი, ჩემი სამშობლო_არდახოქილი!
ო, ღმერთო ჩემო, გულზე დარღები ახლა ძარღვებად შემოაკვდება,
როგორც ვაზის ძირს, სიბერით დაღლილს, კანი გულ-მკერდზე შემოასკდება...

ჩვენმა ჰაზებმა ბარეს და თესეს: კაცობა, შრომა და თავდადება.
მაფით მოქარგეს ისტორიები, სისხლი რომ ძარღვში არ გვიდგოდება,
ბევრსაც ეცადნენ, მაგრამ ბოროტი, ღვარძლი მიწაში ვერ გადაძალეს!
შემდეგ იმდენი ჰატრიოტიზმით, ღალატს სინდისი გადააფარეს!

ჩვენ კი ვარჩიეთ თანამედროვეთ, წარსულს თაროზე მტკვერი უხდება.
აკაკი ახლა რომ იყოს, ალბათ, გამზრდელს ხმამაღლა აგრუსუნებდა
და დავიღალეთ ამდენი ხანი, ილია ჩვენში ვერ გავაღვიძეთ...
ქართველნი ახლა ისეთ დღეში ვართ, მამა დავითზე ვაჟას დავეძებთ...

წარსული ვღებთ ცოდვების ფუნჯით, მომავალს მაინც სიევარულს მოვთხოვთ
და ჩვენ ღმერთს შევთხოვთ ისეთი გულით, სადღაც წამოგვცდა მამაო ჩვენო.
სარწმუნოება სიტყვითლა დაგვრჩა, სიკეთეს ახლა სიმდიდრე ჰქვია...
კეთილის ქვეყნად ხორციელმქმნელო, დალოცვილ იყავ, აბელის ძღვენო!

საათი წუთებს აღარ დაგვითვლის, დღეები გადის, როგორც წამები,
გჯეროდეს, სადღაც დადგება ქამი, შენი სიტყვისთვის შენც ეწამები.
გაიგებ მერე გვიან იქნება, წუთებს მოითხოვ წარსული წლიდან.
შენ ქრისტიანი დაგერქვა მაშინ, რომ გაგამშრალეს ნაკურთხი წელიდან.

ჩემი სამშობლო, წელში მოხრილი, მუჭა მიწაზე შემორჩენილი,
ჩემი სამშობლო, მარად ცოცხალი, ჩემი სამშობლო - არდახოქილი!
ო, ღმერთო ჩემო, გულზე დარღები ახლა ძარღვებად შემოაკვდება,
როგორც ვაზის ძირს, სიბერით დაღლილს, კანი გულმკერდზე შემოასკდება..!



სრულიად საქართველოს მეცნობს

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ შეამოწმა სოფ.ნიკორწმინდაში ე.წ. უდაბნოს ტერიტორიაზე წყალმიმარაგების სისტემა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მიმდინარე წლის ზაფხულში, გარდა 1000 ტონიანი ავზისა გაკეთდა ახალი წყალსაქაჩი. ამიერიდან სოფ. ნიკორწმინდის მოსახლეობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი სასმელი წყლით.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ, ლიტვის რესპუბლიკის ლაზდიას რაიონის მუნიციპალიტეტის მხარის მოადგილემ გინტაუტას სალატკამ და ქალაქ ამბროლაურის ვიცე-მერმა



დავით გოგლიძემ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს ეკონომიკურ, გარემოს დაცვის, ეკოლოგიურ, კულტურულ, მეცნიერების, განათლების და სპორტის ხელშეწყობას.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხლში ხიდს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუგეულს ახალი საბავშვო ბაღი აქვს. ბაღი სრულად აღიჭურვა საჭირო ინვენტარით.





მოძღვარის განათიებული ლამპარი

გარდაიცვალა მოძღვარი, მასწავლებელთა მასწავლებელი, ორმოცდაათწლიანი უხვმოსავლიანობით დახუნძლული შემოქმედებითი პერიოდის ღირსების ორდენოსანი, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღების საჯარო სკოლის უხუცესი პედაგოგი, ღირსეული მეუღლე, დედა, ბებია, დიდი ბებია, მეგობარი და პროფესიონალი — ქალბატონი თამარ ლობჯანიძე. უამრავი თაობის ანბანის მესაჭე და გასაღების მფლობელი. დაუფინყარი დღეების გმირი და მარადიული შარავანდენით გაბრწყინებული ცოდნის ლამპარი.

ეს ჩვენი თამარ მასწავლებელია. არ დავიწყებისა და მარადიულობის მკვიდრი, ნათელი და დიდება მის სულს.

ნიმო რეხვიაშვილი

ბავნიარი სიმოხლის დასასრული

ბურდილაძეების ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს, გარდაიცვალა დალი ტყეშელაშვილი-ბურდილაძე, ქალი, რომელმაც მხოლოდ სიკეთის თესვით განვლო ცხოვრება.

გულწრფელმა გრძნობამ გადამაწყვეტინა გამეხსენებინა და მოგფერებოდი, თუმცა ერთი ნუთითაც არ მშორდები თვალთახედვიდან. სამწუხაროდ, შენ ამქვეყნად აღარ ხარ, ჯერ ორმოცი დღეც არ გასულა, ძალიან მიჭირს წარსულ დროში მოგიხსენიო ერთგულო მეგობარო და მეზობელო.

გაუნელებელ ტკივილად იქცა შენი გარდაცვალება. ბოლო წუთამდე შენს გვერდით მდგომს არ დამავიწყდება შენი ვედრებით სავსე თვალები, გადარჩენას გვთხოვდი.

არ გინდოდა ჩვენთან, ოჯახთან განშორება, ვერ წარმოვიდგენდი, რომ სიცოცხლით სავსე და მხიარული ასე მალე წახვიდოდი ამ ქვეყნიდან თითქოს იმიტომ იყავი მოსული რომ ირგვლივ სითბო და სიყვარული დაგეთესა.

გნამდეს, რომ ოჯახის წევრებსა და მეგობრებში, მეზობლებში არასდროს მიეცემი დავიწყებას. კარგი მონაგარი დატოვე, შენი სახელი უკვდავია და ყოველთვის კარგად მოსაგონარი. გამოირჩეოდი შრომისმოყვარეობით, კეთილშობილებით, მოყვასთა თანადგომით. 68 წელი არც ისე დიდი დროა, რომ მოასწრო ყველა ჩანაფიქრის განხორციელება, ავადმყოფობის მძიმე დღეებშიც არ წყვეტდი შრომას, ოჯახს გვერდით ედექი.

მოაკლდა შენი ზრუნვა საყვარელ მეუღლეს, შვილებს, რძალს. შვილიშვილებს, მეგობრებს. შენს მეუღლეს გოგის ისლა დარჩენია ილოცოს სულის მოსახსენიებლად და უდებოდ დარჩენილ ოჯახს, შვილებს მხარში ამოუდგეს.

დალოცე შენი ოჯახი, შენი ახლობლები, სანთელ-საკმეველი გინათებდეს გზას მარადიული სასუფეველისაკენ.

მსუბუქი იყოს შენთვის მოედნის მინა.

შენი უერთგულესი მეგობარი



დალი ტყეშელაშვილი

— ბურდილაძე

ეთარ ჩიკვილაძე

შეუბნის საჯარო სკოლის დირექტორი



კონსტანტინა (კიკა) ჯაშია შვილის მასწავლებელი

ქალაქში დადიოდა კაცი და
დაჭკონდა ბუჭებით მზე,
სადაც გაივლიდა, ხარობდა —
ბაღახი, ყვავილი, ხე.

წავიდა კაცი და წაიღო,
მარტო ის შემხარავი დღე,
სევდით აცილებდა სამარემდე
შუბლზე მოციმციმე მზე.

თითქოს შემთხვევით დაჩნდა
სიკეთით დახუნძლული ხე.
ერთი ხე გვეგონა დაგვიტოვა და
თურმე დაგვიტოვა ტყე.
გვივი სინაწულიძე

კიკა, ჩვენ კარგ მეგობარო, ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სიცოცხლის უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ.

მძიმეა ეს დანაკლისი ჩვენთვის. ამბობენ დრო მკურნალიაო, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა. სულ თვალწინ გვიდგახარ. ყოველი დილა ერთმანეთის მოკითხვით იწყებოდა. შაბათ-კვირას აუცილებლად ბუნებაში გავდიოდით, მამისონის დალაშქვრა იყო, თევზაობა თუ ნადირობა, ინიციატორი ყოველთვის შენ იყავი. სულ ერთად ვიყავით. ოჯახებიც ერთად შეგქმენით. მარინას სახით შენი ცხოვრების სიყვარული იპოვე. ორი სახელოვანი ვაჟკაცი შეგეძინა, მირიანი და ლაშა თავიანთი ლამაზი ოჯახებით არასდროს მიაყენებენ ჩრდილს შენს ნათელ სახელს.



მთელი ცხოვრება ურთულეს საქმეს ემსახურებოდი, რაიონის კომისარი იყავი. ასეთ საპატიო თანამდებობას მთელი გულისყურით ეკიდებოდი. შრომისმოყვარეობა და პატიოსნება ოჯახიდან მოგდგამს.

დედამ შვიდი დედამამიშვილი გაზარდა. ყველას მამასავით უერთგულე, უდროოდ გარდაცვლილმა ანამ და მიშამ შენი გულის ნაწილი წაიღეს.

კოტე—ალპინისტი, მთასვლელი, მონადირე, მეთევზე, ბუნების მოყვარული და ქომაგი, ოჯახისა და სამეგრელოს ერთგული! — აი, ასეთად გვემახსოვრები მუდამ.

ტკივილს არასდროს დაიჩივლებდი, ალბათ ამიტომ გაუძელი ამდენ ხანს იმ ავადსახსენებელ სენს.

ძნელია შენზე წარსულში ვილაპარაკოთ, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობა ასეთია, მწარე!

ნათელი და სანთელ საკმეველი არ მოჰკლებოდეს შენს ნათელ ხსოვნას.

შენი უახლოესი მეგობრები ავთო დაუშვილი და რომან ჯვლაძე ოჯახებით.

ბრონეული

ბრონეული 4-6 მ-ის სიმაღლის ხე ან ბუჩქია – პრიალა, ტყავისებრი, ელიფსური, ლანცეტისმაგვარი ფოთლებით, კაშკაშა წითელი ყვავილებით, მსხვილი, უამრავი გამჭვირვალე თესლით.

ვეგეტაციას თებერვალ მარტიდან იწყებს, ყვავილობს მაისიდან აგვისტოს ბოლომდე. ნაყოფის მომწიფების ფაზა 120-160 დღე გრძელდება. მცენარის მთლიანი სავეგეტაციო პერიოდი 260-280 დღეა.

იტანს გვალვასა და ყინვას. ნაყინვის შემთხვევაშიც კი ფესვები კვლავ ანახლებენ ზრდა—განვითარებას.

ნაყოფმსხმოიარობს პერიოდულად, ერთი ან ორი წლის მონაცვლეობით. მრავლდება თესლითა და ვეგეტარიანულად.


ცდებით გამოვლინდა, რომ უკეთესი შედეგი მიიღება დაკალმებით, ფესვის ამონაყარით. ასეთი მეთოდით მცენარეს ნაყოფმსხმოიარობა 3-4 წლის შემდეგ აღენიშნება. თესლით გამრავლების შემთხვევაში ყვავილობა და შესაბამისად ნაყოფმსხმოიარობა უფრო გვიან იწყება. ძალზე

ლამაზია ყვავილობის პერიოდში, განსაკუთრებით — სელექციური, ბუთ-ხუზა ყვავილიანი



ჯიშები, რომლებიც მიღებულია ველურად მზარდი საქართველოს ფლორის უიშვიათესი სახეობის — უნიცა გრანატუმ — ისაგან.

ხალხურ მედიცინაში დიდი ხანია იყენებენ ბრონეულის ყვავილს, მარცვალს, ქერქს, ფესვს, წვენს, ზეთს, რუბს, შარბათს და სხვას ყელის ტკივილის, სისხლდენის დროს; მადისმოსაგვრელად; მისი ნაყოფი შეიცავს ვიტამინ C-ს. გამოიყენება ლიმონმჟავას მისაღებად. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, რომელსაც ტყავის დასამუშავებლად იყენებენ. მერქნის ნახარში კარგად ღებავს მატყლს, აბრეშუმს, ტყავს; მის ნახარშს სხვა მცენარეებთან ერთად მუცლის ტკივილის დროს, დიზენტერიის წინააღმდეგ და რევმატიზმის სამკურნალოდ ხმარობენ; ფართოდ გამოიყენება მეზღვეობასა და მეყვავილეობაში.



მიქვან

რჩა

(ლექსი ეძღვნება ონის „გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურს მამა გიორგი კობერიძეს)

გამარჯობა ტკბილო რჩა,
ჩემო ბაღო, ჩემო ზვარო,
შენი სიუვარული დამრჩა,
მამა-პაპის ნაფუძარო.
მამა-პაპის წმინდა ნაშთი,
შესანახად გვაბარია,
მათ სახლებში ბუხრის ალი,
განათების ღამაა.
მტკიცედ მჯერა არ ჩაქრები,
ამის ფიქრი ხომ მწარეა,
ღირსეულად სტუმარს ხვდები,
დარია თუ ავდარია.
ისევ მღერის იადონი,

ისევ უვავის მინდვრად ია
და ბანს აძლევს მას რიონი,
არ იფიქროთ სიზმარია.
უკვე დადგა ალიონი,
განთიადი მღვიმარეა,
სხვა ქარი ქრის ახლა მკონი,
მჯერა კარგი ნიშანია.
დადგა ჟამი, დადგა დრონი,
შენ რას ფიქრობ, დინჯო რაჭა?...
ვიუთ სხვასთან თანასწორი,
საფიქრალი კიდევ დარჩა?!
გავლიეთ წუთისოფელი,
სულ ცოტა დარჩა ბოლომდე,
ვიდრე ვართ აქა მეოფელი,
კაცი სულ უნდა შრომობდე.
შრომობდე, თესდე სიკეთეს,

საქმეში იყო ეელამდე,
ქმნიდე მოძავალს უკეთესს,
გჯეროდეს, არა ღელავდე.
უღვაწიათ, უშრომიათ,
მამა-პაპის ჩვენს წინაპართ,
აუგიათ ეკლესია რა ნაქები,
სამლოცველო ნანატრები,
მე ვარ ონის მკვიდრი შვილი,
მკვიდრზე უფრო უმკვიდრესი.
შენს კალთაში გამოხრდილი,
შენს მიწაზე მიდგას ფეხი.
მხრებზე მედოს მხედრის ტვირთი,
ვიყო შენი მადლის მთესი
და თუ ასე დამებედოს,
არ ვინატრო უკეთესი.

ელიზბარ ლობჯანიძე
2015 წელი

ახერი ნიგნი

ნიგო
რეხვიანუვილი

მოქალაქე
ქობინიკა



2016

იანვარი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

თებერვალი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29						

მარტი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

აპრილი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

მაისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ივნისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

ივლისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

აგვისტო

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

სექტემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ოქტომბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ნოემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

დეკემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ნეკა
მამისუბრძაძე



იაკო
მამისუბრძაძე



სესილი
დინდვაძი

